მასწავლებელი

მასწავლებლის შეფასება სკოლაში – გზა პროფესიული ზრდისკენ

რას კითხულობენ მასწავლებლები

საქართველოს მანდატურის და მეცნიერების საინფორმაციო

მასწავლებლების ჟურნალი მანდატურის სამეცნიერო

N1, 2009

ISSN 1987-6149



ჟურნალი

მასწავლებელი

აცხადებს კონკურსს!

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება!

შეარჩიეთ თემა,

ჩაერთეთ კონკურსში და მოგვწერეთ!

1. ჩემს კლასში რთული ბავშვია
2. როგორ გავხადოთ გაკვეთილი საინტერესო
3. ინტერნეტი – სასარგებლო რესურსი მასწავლებლისათვის

მიიღეთ საჩუქრად ჩვენი პარტნიორების მიერ დაწესებული პრიზები

ბაკურ სულაკაურის ახალი გამოცემების კომპლექტი
თანამედროვე ქართული პროზა და წიგნები
სერიიდან მოსწავლის პირველი ენციკლოპედია!

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
დოკუმენტური ფილმების DVD ვერსიები სერიიდან
„საუკუნის პორტრეტები“

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო წერილი გამოვლინდება. გამარჯვებული მასწავლებლები ჟურნალ „მასწავლებლისა“ და პარტნიორების, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაწესებული პრიზებით დაჯილდოვდებიან!

თითოეული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. საუკეთესო წერილები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდება.

წერილები გამოგვიგზავნეთ მისამართზე:

ჟურნალი „მასწავლებელი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 58 33 ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტით: info@tpdc.ge
www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ჟურნალი „მასწავლებელი“ ერთი წლისაა – ეს არც დიდი დროა და არც ცოტა. ჩემთვის, როგორც მთავარი რედაქტორისთვის, ეს ნომერი პირველია. მიღწევებზე საუბარი ნაადრევად მეჩვენება. ვფიქრობ, როგორ გემსახუროთ უკეთ. „მასწავლებელი“ ახალი ფორმითა და შინაარსით, ჩვენს განახალებულ ხედვას ასახავს. საერთო მიზნის, უკეთესი სასკოლო განათლების მიღწევა მხოლოდ თქვენი აქტიური მონაწილეობით შეიძლება. თითოეული მასწავლებლის ყურადღება ჩვენთვის ღირებული და მნიშვნელოვანია.

საზოგადოება დღეს ურთულეს მისიას აკისრებს სკოლას. სამოქალაქო ცნობიერების, პოლიტიკური კულტურის, ტოლერანტობის ნაკლებობის, არასრულწლოვანთა დანაშაულისა და ნარკომანიის პრობლემებზე საუბრისას, გვჯერა, რომ მათი გადაჭრის გზა მასწავლებლებზე, სკოლაზე გადის. თქვენგან არა მხოლოდ განათლებული, არამედ ამ პრობლემებისაგან თავისუფალი, წარმატებული თაობის აღზრდას ველით. დღევანდელ პირობებში, თქვენს ხელთ არსებული რესურსებით ეს მისია თითქმის განუხორციელებელია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი თქვენგანი საკლასო ოთახში სასურველ შედეგს მაინც აღწევს. ვფიქრობთ, მასწავლებლის სტატუსი იმ მიზნების ადეკვატური უნდა იყოს, რომლის განხორციელებასაც საზოგადოება მისგან ითხოვს. ინფორმირებისა და პროფესიული დისკუსიის გზით, გვსურს, ამ მისიის წარმატებით განხორციელებაში დაგეხმაროთ.

„მასწავლებელი“ თქვენი ჟურნალია და მხოლოდ თქვენი აქტიური მონაწილეობით შევძლებთ სკოლაში ხარისხიანი განათლების პრაქტიკის დამკვიდრებას. ჟურნალი პროფესიული გამოცდილების გაზიარების საშუალებაა. ჩვენთვის თითოეული მასწავლებელი არა მხოლოდ პასიური მკითხველი, არამედ თანაავტორია. ამიტომ თქვენგან აქტიურ გამოხმაურებას ველით.

შესაძლოა, ჟურნალში ისეთ მოსაზრებებს შეხვდეთ, რომლებსაც არ იზიარებთ. წაიკითხავთ იმ სტატიებსაც, რომელთა ავტორების შეხედულებებს რედკოლეგია არ ეთანხმება. დიალოგის ხელშეწყობა და განსხვავებული მოსაზრებების წარმოჩენა ჩვენი მთავარი მიდგომაა – ჟურნალი პროფესიული დისკუსიების ღია ფორუმად უნდა იქცეს. თუ თვლით, რომ საინტერესო გამოცდილება დაგიგროვდათ, ან პოზიციის გამოხატვა გსურთ, მოგვწერეთ და კოლეგებს მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი ხედვა გააცანით.

გვჯერა, რომ მხოლოდ ამ გზით – თითოეული ჩვენგანის აქტიური მონაწილეობით – შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა.

ხათუნა კვესელავა
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი

N1, 2009

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

რედკოლეგია:
სოფიო გორგოძე
პაატა სირგილაძე
ლელა სამნიაშვილი
ნათია ნაცვლიშვილი
თამარ ონოფრიენკო

მთავარი რედაქტორი:
ხათუნა კვესელავა

რედაქტორი: ნატო ინგოროყვა

სტილისტი: ირმა ტაველიძე

დიზაინი: ბესიკ დანელია

ფოტო: მალხაზ მაჭავარიანი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

ჟურნალისტები:
ეკა ქევანიშვილი
თეა თოფურია
ირმა კახურაშვილი
შორენა ბურდილაძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 58 33
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი
მასწავლებელი

დარეკეთ:
შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79
სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58

შინაარსი

სტატიები

პაატა პაპავა

5 **გაკვეთილი პოლიტკორექტულობის ზღვარზე**

არის თუ არა პოლიტიკური დისკუსიების ადგილი საკლასო ოთახში – სამოქალაქო განათლება თუ პოლიტიკური პროპაგანდის საფრთხე

სიკო ჯანაშია

30 **რას კითხულობენ მასწავლებლები**

როგორ შევაყვაროთ ბავშვებს კითხვა – მასწავლებლის პირადი მაგალითი მოზარდებში კითხის უნარის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია

პაატა სირგბილაძე

31 **სამოქალაქო განათლებისათვის**

სკოლისა და მასწავლებლის როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში – მოსაზრებები სკოლაში სამოქალაქო განათლების სწავლების შესახებ

ინტერვიუ

18 **გიგა ზედანიას იმედგაცრუება და თავისუფლება**

ამზადებს თუ არა სკოლა მოსწავლეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის – გიგა ზედანია განათლების ქართულ და დასავლურ სისტემებს ადარებს

ეკა ქევანიშვილი

პრობლემა

21 **წიგნიერება საქართველოში**

ქართველი მოზარდები წიგნიერების დონით უცხოელ თანატოლებს ჩამორჩებიან – როგორ ვასწავლოთ ბავშვებს კითხვა

თეა თოფურია

48 **წარმატების ფორმულა – გარდაბნის გამოცდილება**

სკოლას სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად დამატებითი რესურსების გარედან მოზიდვა შეუძლია

შორენა ბურდილაძე

46 **ერთი სკოლა და მთელი სამყარო**

მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის წარმატებული თანამშრომლობის ისტორია ქუთაისიდან

მაკა ჩინიჯიშვილი

მიხეილ მინდაძე

39 **10 რჩევა დამწყები მასწავლებლისათვის**

რატომ ვირჩევთ პედაგოგის პროფესიას და როგორი უნდა იყოს მასწავლებელი – პროფესიული რჩევები დამწყები მასწავლებლისათვის

ფოტორეპორტაჟი

44 **ერთი დღე შაუმიანში**

სოფელ შაუმიანის დევნილთა დასახლება – შაუმიანის მე-2 საჯარო სკოლაში ომის შედეგად დაზარალებული ბავშვებისათვის ქართული სექტორი გაიხსნა – სკოლა მალხაზ მაჭავარიანის ობიექტივში

41 **როცა კლასში რთული ბავშვია**

ცელქი მოსწავლე თუ ჰიპერაქტივობის სინდრომი – ექსპერტები მასწავლებლებს რთული ბავშვებისადმი მიდგომის შეცვლას ურჩევენ

ირმა კახურაშვილი

რუბრიკები

ნოვატორები

8 **ობიექტურად შეაფასეთ... მასწავლებელი**

თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში მასწავლებლების შეფასების სისტემა ამოქმედდა. ამ სკოლების გამოცდილებას **თეა თოფურია** გაეცნო

მრგვალი მაგიდა

11 **მასწავლებლის შეფასების სისტემების დანერგვა სკოლებში**

საჭიროა თუ არა მასწავლებლის შეფასება სკოლაში და როგორ შევაფასოთ მასწავლებელი ობიექტურად – მრგვალი მაგიდის მონაწილეები შეფასების სისტემის დანერგვის პერსპექტივებზე მსჯელობენ

გლობალური სკოლა

15 **მასწავლებლის შეფასება სკოლაში – გზა პროფესიული ზრდისკენ**

სკოლაში მასწავლებლის შეფასების დასავლეთში მოქმედი მოდელები **რუსუდან ჭანტურიამ** მიმოიხილა

34 **როცა გაკვეთილზე დამსწრეა**

პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებისათვის – როგორ მოვიქცეთ, როცა თქვენს გაკვეთილს დამკვირვებელი ესწრება და... როცა თქვენ გიწევთ შემფასებლის როლში ყოფნა

კლასი

50 **გაკვეთილი მწვანე ხალიჩაზე**

არცერთი დაკარგული წუთი საკლასო ოთახში – რიგითი გაკვეთილი გერმანიის ერთ-ერთი სკოლის დაწყებით საფეხურზე – **ნინო ელბაქიძის** და **თეონა ლოდიას** რეპორტაჟი მაისენიდან

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. ინტეგრირებული გაკვეთილი: საკვირველი ამბები „არიადნეს ძაფი“
2. 136-ე საჯარო სკოლის რესურსი – მასწავლებლის შეფასების ინდიკატორები
3. სახალისო დავალება – კროსვორდი მოსწავლეებისათვის

25-30

წერილი „მასწავლებელს“

52 **ჩემი ისტორია – მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სკოლაში**

მიხეილ გოგატაშვილი, 77 წლის დამსახურებული მასწავლებელი ქორეთის სკოლაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნის ისტორიას მოგვითხრობს

რეცენზია

54 **მე ვსწავლობ კითხვას**

ნინო ბესელია დამწყები მკითხველისათვის განკუთვნილ ახალ გამოცემებს მიმოიხილავს

რესურსები

55 **დემოკრატიის გაკვეთილი**

საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, მედიის ყოველდღიურ საქმიანობას ბავშვები ადგილზე გაეცნობიან, თუ... კლასთან ერთად ექსკურსიაზე წახვალთ.

ბოლო სიტყვა

56 **თუ დროის მანაქანის მართვა გვსურს**

ლელა სამნიაშვილი

გაკვეთილების გამცდენ მოსწავლეებს მკაცრი გამოცდები ელით

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მინისტრის ბრძანებით, შედის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მოსწავლის მიერ არასაპატიოდ გაცდენილი საათების ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს. თუ მოსწავლე გაცდენების დაშვებულ რაოდენობას გადააჭარბებს, ვალდებული იქნება საგანგებო გამოცდა ჩააბაროს.

„დასწრება ხარისხიანი განათლების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. დისციპლინის გარეშე სრულფასოვანი სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია. საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მოსწავლეები სკოლას ხშირად აცდენენ. ამას არც სკოლები მალავენ. პრობლემა დგას და საზოგადოებაში მისი მოგვარების მოთხოვნაც არსებობს. მოსწავლეთა აღრიცხვის საკითხი მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება“, – აცხადებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია.

23-ე საჯარო სკოლის დირექტორის, ნატო გაბოშვილის თქმით, ხშირია არასაპატიო გაცდენის და დაგვიანების შემთხვევები: „თუ მეორეკლასელი ბავშვი სკოლაში აგვიანებს, ეს მშობლის უპასუხისმგებლობაა. მას ჰგონია, რომ არაფერი დაშავდება, თუ მისი შვილი მერხს რამდენიმე წუთის დაგვიანებით მიუჯდება. როცა სამინისტრო და სკოლა გაცდენებისა და დაგვიანებების საკითხს მკაცრად გააკონტროლებს და ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება, მშობელიც ეცდება, ეს გართულებები თავიდან აიცილოს“.

განათლების მინისტრის ინფორმაციით, სკოლებში მოსწავლეთა დასწრების ფორმალური რეგულირებისათვის შემოღებული იქნება ცენტრალური აღრიცხვიანობის სავალდებულო დოკუმენტი – ჟურნალი.

„ეროვნული სასწავლო გეგმით დადგინდება გაცდენილი საათების ზღვრული ოდენობა და მისი გადაჭარბების შემთხვევაში, მოსწავლეს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება მოუწევს. თუ გამოცდა ვერ ჩააბარა, კლასში დარჩება“, – ამბობს მინისტრი. ექსტერნის პროცედურა დამუშავების სტადიაშია და სავარაუდოდ, ისიც გამკაცრდება. გამოცდის ჩაბარება მარტივი არ იქნება, თუმცა ნიკა გვარამიას თქმით, მოსწავლის ცოდნა ადეკვატურად და ობიექტურად შეფასდება.

ახალი წესების ამოქმედების შემდეგ მასწავლებლები ვალდებულნი იქნებიან, სწორად აწარმოონ დასწრების აღრიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

გამკაცრებული წესები ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება და ის ყველა კლასის მოსწავლეს შეეხება. გაცდენისა და დაგვიანების ზღვრული რაოდენობა და დარღვევაზე რეაგირების საკითხები დღემდე სკოლის შინაგანაწესით რეგულირდებოდა.

პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია გრძელდება

განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია მიმდინარეობს. განათლების სფეროში მომუშავე ნებისმიერ ორგანიზაციას ან იურიდიულ პირს შეუძლია, ცენტრის მიერ გამოცხადებულ ვადებში, აკრედიტაციისთვის საკუთარი პროგრამები წარმოადგინოს.

აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ნინო ჩუბინიძის განცხადებით, მიმდინარე პროცესის მიზანი, პირველ რიგში, პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და ბაზრის რეგულირებაა: მოცემულ ეტაპზე მასწავლებლებს მიეცემათ საშუალება, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, პროფესიული განვითარების ხარისხიანი პროგრამებით მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის”.

ლაშა მკურნალიძე, ასოციაციის „სკოლა–ოჯახი–საზოგადოება” აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, რომ „საქართველოში პროფესიული განვითარების უამრავი საგანმანათლებლო პროგრამა არსებობს, თუმცა მათი ხარისხის კონტროლი დღემდე არ ხდებოდა. სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი აკრედიტაცია – ამ გზით სახელმწიფო ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფს“.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა ექსპერტებმა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული 147 პროგრამა უკვე შეამოწმეს. შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, აკრედიტაციის საბჭო მიიღებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ასევე მუშავდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო გარკვეული რაოდენობის კრედიტების პროგრამებს დააფინანსებს, რათა ხელი შეუწყოს მასწავლებლების მომზადებას სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის, სოფიო გორგოძის განმარტებით, „აკრედიტებული პროგრამები გულისხმობს, რომ სახელმწიფო აღიარებს მათ ხარისხს. თუმცა, პროგრამის აკრედიტაცია არ ნიშნავს, რომ მისი დაფინანსება სახელმწიფოს მიერ ავტომატურად და მუდმივად მოხდება. ჩვენს მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში, პირველ რიგში, უპირატესობა მიენიჭება იმ საგნების დაფინანსებას, რომლებშიც 2010 წელს დაიწყება სერტიფიცირება. სავარაუდოდ, ეს იქნება ქართული ენა და ლიტერატურა, ასევე მათემატიკა და უცხო ენები“.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი აკრედიტებული პროგრამების პირველ ნუსხას მარტში გამოაქვეყნებს.

გაკვეთილი პოლიტკორექტულობის ზღვარზე



პაატა პაპავა

პოლიტიკა უფროსების თემაა – ბავშვებს, როგორც წესი, ნაკლებად უნდა აინტერესებდეთ ვის აძლევენ ხმას, ან რაზე საუბრობენ ფინჯან ყავასთან მათი მშობლები. თუმცა, ხშირად, როცა გარემო პოლიტიკურად იმუხტება, საკლასო ოთახში შეკითხვები ჩნდება – ბავშვები პოლიტიკაზე კამათობენ. უნდა ჩაერთოს თუ არა ასეთ მსჯელობაში მასწავლებელი და არის თუ არა პოლიტიკის ადგილი საკლასო ოთახში?

ქალბატონი თამარი ბიოლოგიის მასწავლებელია. მისი გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩევა საინტერესო ინფორმაციითა და კვლევითი აქტივობებით. მოსწავლეები ხშირად განიხილავენ ბუნების დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ბიოლოგიური გამოკვლევების ეთიკურ მხარეებთან დაკავშირებულ პრობლემებს, აყალიბებენ ალტერნატიულ იდეებს მათ გადასაჭრელად და პერიოდულად მსჯელობენ სახელმწიფო თუ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, კანონმდებლობის როლზე, ცალკეულ საზოგადოებრივ ლიდერთა შეხედულებებზე.

ერთ-ერთი გაკვეთილის დაწყების წინ თამარი ამჩნევს, რომ მოსწავლეები აღელვებულნი არიან, წრიალებენ და გაკვეთილისათვის მზაობას არ გამოხატავენ. მასწავლებელი ხვდება: ბავშვები გუშინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობენ. ერთ-ერთი მოსწავლე ხელს იწევს და შეკითხვას უსვამს: „მასწ, გუშინ უსმინეთ დებატებს? თქვენ ვის ემხრობით?“

მასწავლებლისათვის ნათელი ხდება, რომ ეს შეკითხვა შემთხვევით არ გაჩენილა. ის რეალურ, ცხოვრებისეულ პრობლემებს ეყრდნობა. შესაბამისად, მისი გამოყენება პედაგოგიური თვალსაზრისითაც სასარგებლო იქნებოდა. თამარი იმასაც ხედავს, თუ როგორ შეიძლება ამ დებატების თემატურად დაკავშირება ბავშვების მიერ მომზადებულ პრეზენტაციებთან, მაგრამ მისთვის არც ისე ადვილია გადაწყვეტილების მიღება.

ასეთ დროს მასწავლებლები მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგებიან: დაუშვან თუ არა კლასში პოლიტიკური საკითხების განხილვა, ჩაერთონ თუ არა ასეთ მსჯელობაში?

თუ პრობლემას განვაზოგადებთ და გადაჭრის გზებზე დავფიქრდებით, რამდენიმე შეკითხვას უნდა გავცეთ პასუხი: როგორ უნდა შეხვდეს პოლიტიკური საკითხებისადმი მოსწავლეთა გამძაფრებულ ინტერესს სკოლა და მასწავლებელი? რამდენად დასაშვებია პოლიტიკური დისკუსიების გამართვა საკლასო ოთახში? რა სახის საფრთხეებს შეიძლება წავაწყდეთ ამგვარი მცდელობისას და როგორ ავიცილოთ ისინი? ეს საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სასკოლო რეფორმის ორი მნიშვნე-

> **მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, როგორც თანამედროვე განათლების მთავარი ორიენტირი, წარმოუდგენელია მკაფიო პიროვნული პოზიციის ფორმირების, გამოხატვისა და დაცვის უნარების გამომუშავების გარეშე.**

ლოვანი ასპექტის ფონზე: ერთი მხრივ, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეთა სამოქალაქო აღზრდა-განათლება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის გამოცხადებული, რაც პოლიტიკური თემატიკის გაცნობიერებასაც გულისხმობს. მეორე მხრივ კი, კანონის ძალით იკრძალება სკოლის პოლიტიზება. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან (ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობა – პოლიტიკური გაერთიანებებისაგან).

პრობლემა, რომელიც შედარებით ახალია საქართველოსა და სხვა პოსტ-საბჭოთა სივრცის სკოლებისათვის, დემოკრატიული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემისთვის ტრადიციულია. ერთ-ერთ ონლაინ ჟურნალში[1] საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი: ინგლისური ენის მასწავლებელი, ელიზაბეტ იტო სკოლიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ გაკვეთილზე ერაყში მიმდინარე ომის წინააღმდეგ მიმართული ათწუთიანი ლექცია გამართა. ეს ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ. პედაგოგებს პერიოდულად სჭირდებათ იმის შეხსენება, რომ საკლასო ოთახი ღია ფორუმი არ არის საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების გასავრცელებლად. ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში, პარტნიორული პროგრამის ფარგლებში, იმ მასწავლებლებს შევხვდი, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პოლიტიკური დისკუსიების დაგეგმვას და გამართვას, ყოველმხრივ ცდილობენ, ობიექტურნი დარჩნენ და გაწონასწორებულად შესთავაზონ მოსწავლეებს საკითხის მრავალ ჭრილში განხილვა. ისინი ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას, სწორედ დღეს, სწორედ ამ ქალაქში, ამ სახელმწიფოში, ამ სივრცეში განვითარებულ მოვლენათა სოციალურ თუ პოლიტიკურ განზომილებებზე დააფიქრონ მოსწავლეები, მაგრამ იმავდროულად ახერხებენ, რომ არცერთმა ბავშვმა არ იცოდეს მასწავლებლის პოლიტიკური პრიორიტეტები და მითუმეტეს, პოლიტიკური კუთვნილება.

[1] მაიკლ სტრეიჩი. პოლიტიკური დებატები და კომენტარები საკლასო ოთახში. Suite101.com 2009 წლის 4 იანვარი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმამ მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარების მიზანი მკაფიოდ გამოკვეთა. ერთი მხრივ, მათ მართლაც სჭირდებათ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მრავალგანზომილებიანი პროცესის აქტუალური ასპექტების გააზრება, საკუთარი და სხვათა დამოკიდებულებების გაცნობიერება. ადმინისტრაციამ თუ პედაგოგთა გუნდმა კიდეც რომ მოინდომოს, ძალიან გაუჭირდება სკოლის სრული იზოლირება მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისაგან. მეორე მხრივ, მასწავლებლები არ არიან მზად თანმიმდევრული, მიუკერძოებელი პოლიტიკური დისკუსიის წარმართვისათვის და როგორც წესი, გაურბიან პოლიტიკური საკითხების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, როგორც თანამედროვე განათლების მთავარი ორიენტირი, წარმოუდგენელია მკაფიო პიროვნული პოზიციის ფორმირების, გამოხატვისა და დაცვის უნარების გამომუშავების გარეშე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკული აზროვნებისა და კრიტიკული კითხვის უნარის განვითარებას, რომლებიც გამჭოლ კომპეტენციებად უნდა იქცეს სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის საგანმანათლებლო სტანდარტებში.

მიმაჩნია, რომ მასწავლებელი გულისხმიერად უნდა მიუდგეს მოსწავლეთა ინტერესს პოლიტიკური პრობლემების მიმართ. მან უნდა გაარკვიოს ამ ინტერესის რეალური საფუძვლები და გარკვეული დრო გამოყოს მათი განხილვისათვის. თანამედრო-

ვე მეთოდებს შორის მოიძებნება მრავალი ეფექტური სტრატეგია საინტერესო, ინტერაქტიური აქტივობებისა და დისკუსიების ორგანიზებისათვის, მაგ: „მოზაიკა“, „კუთხეები“, „ღირებულების ხაზი“, „ჯვარედინი დისკუსია“ და სხვ. არსებობს დებატების მასშტაბური საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც საქართველოშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

შესაძლებელია პოლიტიკურ თემებზე გამართული დისკუსიების რამდენიმე დადებით შედეგზე საუბარი:

1. მოსწავლეები ცნებით აპარატს იფართოებენ. ისინი ახალ კონცეპტებს ეცნობიან, რაც მყარ საძირკველს უყრის საზოგადოებრივად აქტუალურ საკითხებზე თანმიმდევრული მსჯელობის კომპეტენციას.
2. მოსწავლეები ითვისებენ დისკუსიის წარმართვისა და აკადემიურ კამათში მონაწილეობის საბაზისო და სპეციალურ უნარებს; ეჩვევიან პოლიტიკური ტექსტის კრიტიკულ ანალიზს; მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენასა და მოსაზრებას შორის განსხვავების დანახვას; საკუთარი პოზიციის მწყობრად ჩამოყალიბებას და არგუმენტების მოშველიებას.
3. მოსწავლეებს უყალიბდებათ დამოკიდებულებები მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების მიმართ. ისინი ეჩვევიან აზრის თავისუფლად გამოხატვაზე პასუხისმგებლობის აღებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებასა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებაში, რამდენიმე შესაძლო საფრთხეზეც უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

პირველ რიგში, ეს არის მასწავლებლის მიერ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების მოსწავლეებისათვის თავსმოხვევა. ყველაზე უარეს შემთხვევაში, პედაგოგის ასეთი მიდგომა შეიძლება პირდაპირ პროპაგანდაში გადაიზარდოს, რომელიც ერთი კონკრეტული პოლიტიკური თეორიის, მოძრაობის ან ლიდერის უპირატესობათა გაზვიადებას ისახავს მიზნად. ასეთ დროს გასარკვევია, რა სახის სიმპათიებისა და ანტიპათიების ჩამოყალიბებას ცდილობს მასწავლებელი, რატომ აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტებს ერთი სახის მოვლენებზე და არ ახსენებს პარალელურად მიმდინარე მოვლენებს, როგორ მანიპულირებს ამა თუ იმ ცნებით, გამონათქვამით, ნაწარმოებით, ბიოგრაფიული მონაცემით, თეორიით, სიმბოლოებით და სხვ.

ინგლისური ენის მასწავლებელი, ელიზაბეტ იტო სკოლიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ გაკვეთილზე ერაყში მიმდინარე ომის წინააღმდეგ მიმართული ათწუთიანი ლექცია გამართა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა მეტად საინტერესო გერმანული კინოფილმი „ტალღა“, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩენს ახალგაზრდების პოლიტიკური ინდოქტრინაციის პროცესს და მოსალოდნელ საშიშროებას. მოსწავლეების შეკითხვაზე, თუ როგორ მოახერხა ჰიტლერმა მცირე რაოდენობის მიმდევრებისგან უზარმაზარი ძალის მქონე მოძრაობის აგორება, ისტორიის მასწავლებელი უცნაური და იმავდროულად სახიფათო ექსპერიმენტით პასუხობს. იგი ლიდერის როლში შედის და სასკოლო თემისაგან ერთგვარ იდეოლოგიურ მოძრაობას აყალიბებს. საბოლოოდ, იქმნება სოციალური გარემო, რომელშიც მოვლენები კონტროლს აღარ ექვემდებარება...

არის მეორე საფრთხეც, რომელიც პოლიტიკური მსჯელობის მიზნობრიობას, უფრო სწორად კი, მის ბუნდოვანებას ეხება. ასეთ დროს მკაფიოდ არ არის განსაზღვრული პედაგოგიური ამოცანა. საკითხების დასმა, ინფორმაციის ძიების პროცესი, სასწავლო კონტექსტი მოკლებულია ლოგიკურ ურთიერთკავშირს. შესაბამისად, მოსწავლეებს ზერელე დამოკიდებულება უჩნდებათ პედაგოგის მიერ წარმართული აქტივობებისადმი. ამგვარი პრობლემის თავიდან ასაცილებლად სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ ჩამოაყალიბოს განსახილველი პოლიტიკური საკითხის მნიშვნელობა, მოსწავლეთა ინტერესებთან კავშირი, არსებითი ქვესაკითხები და თანმიმდევრულად წარმართოს პროცესი.

დასასრულს, მინდა ვისურვო, რომ პედაგოგებმა (განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა) გააცნობიერონ მიმდინარე პოლიტიკური საკითხების ობიექტურად განხილვის მნიშვნელობა და სცადონ დისკუსიებისა თუ კვლევითი პროექტების ორგანიზება ეფექტური მეთოდებისა და რესურსების გამოყენებით.

აქვე დავძენ, რომ სიამოვნებით გავეცნობი იმ კოლეგების შეხედულებებს, რომლებსაც საპირისპირო აზრი აქვთ და პოლიტიკური საკითხების კლასში განხილვას უარყოფითად აფასებენ.

ობიექტურად შეაფასეთ...

მასწავლებელი

სკოლაში მასწავლებლის შეფასება საქართველოსათვის სიახლეა. საუბრები ამ თემაზე ცოტა ხნის წინ დაიწყო და სკოლების ადმინისტრაციებიც სიფრთხილით ეკიდებიან საკითხს. თუმცა თბილისში დირექტორების ნაწილმა მასწავლებლების შეფასების სისტემის დანერგვა უკვე დაიწყო. 82-ე და 136-ე საჯარო სკოლებში სპეციალურად შექმნილი ადმინისტრაციული ჯგუფები პედაგოგებს რეგულარულად, წელიწადში ერთხელ აფასებენ.

თეა თოფურია

თბილისის 82-ე საჯარო სკოლაში მასწავლებლის შეფასების დანერგვის იდეა დირექტორს, ეკა კვირიკაშვილს ეკუთვნის. მან ეს სისტემა დამოუკიდებლად შეიმუშავა, თუმცა კოლეგების პრაქტიკა, კერძოდ, 136-ე სკოლის დირექტორის, ელზა ბადაშვილის გამოცდილება და ტრენინგებზე დაგროვილი ცოდნა გამოიყენა. ეკა კვირიკაშვილის თქმით, მასწავლებელთა შეფასების სისტემის გარეშე სკოლის ეფექტური მართვა შეუძლებელია: „შეფასების სისტემა მაძლევს შესაძლებლობას, გავიგო, ვის სჭირდება კვალიფიკაციის ამაღლება, ვინ უნდა გავუშვა ტრენინგზე, ვინ წავახალისო და სხვა“.

82-ე სკოლაში იციან, რომ შეფასების სისტემის დანერგვა შესაძლოა,

მასწავლებელთა შეშფოთების მიზეზიც გახდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სიახლის მიზნები პედაგოგებს ადმინისტრაციამ სათანადოდ არ განუმარტა. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ პოგოსიანი იხსენებს, რომ პედაგოგების ნაწილმა საერთოდ ვერ გაიგო ცვლილების არსი: „დირექტორმა რამდენიმე თანამშრომელს კი აუხსნა, რა ხდებოდა, მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა. შემდეგ ექსპერიმენტი ჩავატარეთ და შეფასების სისტემა მასწავლებლებზე გამოვცადეთ. მას შემდეგ, რაც მინიმალური ქულა ყველამ დააგროვა, პანიკა ჩაცხრა. პედაგოგებმა დაინახეს, რომ „ტესტის გავლა“ არც ისე რთულია“.

ეკა კვირიკაშვილი,

82-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

„მასწავლებლებს თავიდან შეეშინდათ, თუმცა შემდეგ ჩამოწერეს, რამდენ საქმეს აკეთებენ და მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი შესრულებადია. შეფასების სისტემის გამოყენების შედეგად კარგად ჩანს, ვინ იმსახურებს პრემიას ან სხვა ტიპის წახალისებას. როდესაც პრეზიდენტის სტიპენდიაზე წარსადგენად პედაგოგებს არჩევდნენ, ყველა სკოლაში დიდი დებატები იყო, ჩვენთან კი ეს საკითხი მარტივად გადაწყდა – მე მქონდა დოკუმენტი, რომლითაც ნათელი გახდა, ვინ იყო კარგი პედაგოგი. ამიტომ პრეტენზიაც არავის გასჩენია“.

დოკუმენტაციის პაკეტი, რომლის მიზანიც საბჭოსათვის მასწავლებლის საქმიანობაზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებაა, საკმაოდ ვრცელია და დეტალურად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელზე დაყრდნობითაც ადმინისტრაციულმა საბჭომ პედაგოგი ყოველწლიურად უნდა შეაფასოს. საბჭოში შედიან როგორც თავად მასწავლებლები, ასევე სამეურვეო საბჭოს წევრები. შეფასებისას საბჭო 10 ძირითად ინდიკატორს ეყრდნობა. განსაზღვრულია თითოეული მახასიათებელიც, რომლის მიხედვითაც დამკვირვებელი მასწავლებელს 1-დან 15 ქულამდე აფასებს.

მაგალითად, მასწავლებლის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი სასკოლო მენეჯმენტის წარმართვაა. ამიტომ საბჭომ თითოეული პედაგოგი შემდეგი მახასიათებლებით უნდა შეაფასოს: 1. მასწავლებელი ყოველდღიურად შეიმუშავებს გაკვეთილის გეგმას, რათა უზრუნველყოს სასწავლო მიზნების მიღწევა. 2. მასწავლებელი ეფექტურად ანაწილებს გაკვეთილის დროს. 3. მასწავლებელი რეგულარულად აფასებს მოსწავლეებს. 4. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში და მზადაა მათ დასახმარებლად. სხვა ინდიკატორები პედაგოგის პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებს ეხება. გამოიყენება ასევე გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი და მოსწავლეთა კომენტარები.

საბჭო ასევე ითვალისწინებს სასკოლო დოკუმენტაციას, რომელიც პედაგოგმა, როგორც წესი, პირველი ტრიმესტრის დასრულებამდე ადმინისტრაციაში უნდა წარადგინოს. მათ შორისაა:

1. შესრულებული პროექტების (თუ მასწავლებელი ჩართულია რომელიმე პროექტში) ჩამონათვალი თანდართული თვალსაჩინო მასალებით;
2. მასწავლებლის მიერ განხორციელებული პრეზენტაციები, თანდართული თვალსაჩინო მასალებით;
3. საკონფერენციო თემების ნუსხა, რომლებზეც მოსწავლეები მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ, მათი გვარების მითითებით;
4. მოსწავლეების ოლიმპიადაში მონაწილეობის შემთხვევაში არსებული მასალა;
5. მასალა კონკურსებში მონაწილეობის შესახებ;
6. მასწავლებლის მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილების თემატიკა და გეგმა.

გარდა ამისა, საბჭო შემდეგ დოკუმენტაციასაც შეისწავლის:

- სასკოლო დოკუმენტაციის შესრულების ხარისხი და ვადები;
- მასწავლებლის გაცდენები და დაგვიანებები;
- სკოლის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევები;
- პედაგოგის მიერ გამოყენებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა;
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების ანგარიში;
- მასწავლებლის თემატურ-კალენდარული ანგარიში;
- კათედრის მუშაობის წლიური გეგმა და ყოველთვიური გეგმა;
- დამრიგებლის შემთხვევაში, კათედრის ტრიმესტრული ანგარიში;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ტრიმესტრის ანგარიში.

მასწავლებლებს ქულები წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, თითოეული ინდიკატორის მიხედვით ეწერებათ. შემდეგ საბოლოო ციფრი გამოითვლება და დგება სია, რომელშიც პედაგოგები მიღებული ქულების სიდიდის მიხედვით გადანაწილდებიან.

82-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ეკა კვირიკაშვილი ამბობს, რომ ასევე აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლების შეფასება. უკვე რამდენიმე თვეა, შენობაში სპეციალური ყუთები დგას. მათი საშუალებით, მასწავლებლები,

მოსწავლეები და მშობლები ადმინისტრაციას საკუთარ მოსაზრებებს, წინადადებებს და პრეტენზიებს უგზავნიან. დირექტორის თქმით, წერილებს სხდომებზე განიხილავენ. არის მეორე, გამარტივებული გზა მოსწავლეებისათვის – თუ მოზარდებს დირექტორისთვის რაიმე აქვთ სათქმელი, შეუძლიათ ყვითელ, წებოვან ფურცლებზე დაწერონ და მისი კაბინეტის კარზე მიაკრან.

სხვა (არაპედაგოგი) თანამშრომლებისა და დირექტორის შესაფასებლად 82-ე სკოლაში შემდეგი გზა აირჩიეს: მასწავლებლებს ურიგდებათ შეფასების ფორმები თანამშრომლების სახელებითა და გვარებით. ისინი მათ უწერენ ქულებს 1-დან 10-მდე. გამოკითხვა ანონიმურია. ეკა კვირიკაშვილი ამბობს, რომ დირექტორის შეფასების უფრო მოქნილი სისტემა სამეურვეო საბჭომ უნდა შექმნას.

თამარ პოგოსიანი,
82-ე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:
„სკოლაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა მასწავლებელია, რომელიც პედაგოგის პროფესიას ჯერ კიდევ სწავლობს და ეს სისტემა მათ, ამ მხრივ, ძალიან დაეხმარება“.

შეფასების სისტემების დანერგვის აუცილებლობაზე საქართველოში ექსპერტებიც საუბრობენ.

თამარ მოსიაშვილი,
ექსპერტი განათლების საკითხებში:
„უნდა დადგეს დრო, როცა სკოლები დამოუკიდებლად დაიწყებენ ამგვარი შიდა დოკუმენტების შექმნას და ნოვაციების დანერგვას. თანამშრომელთა შეფასების სისტემა თითოეულმა სკოლამ დამოუკიდებლად უნდა შექმნას. კოლექტივის წევრები, მშობლები უნდა დასხდნენ და ჩამოაყალიბონ, როგორი სკოლა უნდათ და რას ნიშნავს მათთვის კარგი მასწავლებელი. ასეთი სახის დოკუმენტის შემუშავების პროცედურები განსხვავებულია. შესაძლოა, დოკუმენტი სპეციალისტმა შეიმუშავოს – დირექტორმა, მისმა მოადგილემ, მასწავლებელმა თუ გარე ექსპერტმა, მაგრამ ნაშრომი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს მასწავლებლებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება“.

შეფასების სისტემა საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე სკოლაში მოქმედებს. ექსპერტის თქმით, უმჯობესია, ეს სისტემა მეტად კონკრეტული იყოს, რადგან, პირველ ეტაპზე, სკოლას ბევრი ინდიკატორის შემცველი სისტემით მუშაობა გაუჭირდება. ამასთან, მისი შექმნის მიზანი აუცილებლად პოზიტიური უნდა იყოს და ეს მასწავლებლებს სათანადოდ უნდა აუხსნან.

მასწავლებლის შეფასების სისტემების დანერგვა სკოლებში

სკოლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ მასწავლებლის შიდასასკოლო შეფასება აუცილებელი და სკოლის განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. როდის, ვინ და რაც მთავარია, როგორ უნდა შეაფასოს მასწავლებელი – ამ თემაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს.

შორენა ბურდილაძე

მასწავლებლის შეფასების სისტემა თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში უკვე მოქმედებს. ორი ასეთი სკოლის დირექტორი ჩვენს შეხვედრაში მონაწილეობს. პირველ რიგში, მათ მივმართავ. რატომ გადაწყვიტეთ ამ სისტემის დანერგვა და რამდენად რთული იყო ეს პროცესი?

ეკა კვირიკაშვილი: სკოლის დირექტორად არჩევისთანავე ჩემთვის, როგორც მენეჯერისთვის, მასწავლებლის შეფასების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო. ჩამოვაყალიბე საკუთარი ხედვა და სხვა სკოლების გამოცდილებასაც გავეცანი. მიმაჩნია, რომ შეფასება ცალხმრივი პროცესი არ უნდა იყოს. მე პედაგოგებს ვაფასებ, ისინი მე მაფასებენ, ბავშვები – მასწავლებლებს, მასწავლებლები – მოსწავლეებს. ეს არის წრე და სიტყვა „შეფასებაც“, ჩემი აზრით, შეუფერებელია. ამ პროცესს დავარქმევდი ერთმანეთის საქმიანობის მონიტორინგს, რომელიც ჩვენი მუშაობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად ტარდება. უნდა ვიცოდეთ, რა გვიჭირს და რა ხარვეზი გვაქვს, რომელი მიდგომაა უფრო ეფექტური. სკოლაში უნდა არსებობდეს დაწინაურების, წახალისების პერსპექტივა. მასწავლებელმა თავი დაფასებულად უნდა იგრძნოს. დაწინაურება – დამრიგებლის, კათედრის გამგის, დირექტორის თუ მისი მოადგილეების თანამდებობები სერიოზული მოტივაციაა მასწავლებლისათვის.

ელზა ბადაშვილი: 11 წელია დირექტორი ვარ და უკვე 10 წელია, მასწავლებლის შეფასების სისტემას ვიყენებ. პირველ რიგში, შეფასების ინდიკატორები შევიმუშავეთ. საჭირო მასალა ტრენინგებიდან წამოვიღე და ჩემი სკოლის მოთხოვნებს მოვარგე. სისტემა, მოგვიანებით, პედაგოგების მონაწილეობით დაიხვეწა კათედრებზე. 10 წელია, შეფასების ინდიკატორებს ყოველწლიურად ვცვლით და ვავითარებთ. ვაანალიზებთ, რომელმა ინდიკატორმა გაამართლა, რომელი პუნქტი მოვაკლოთ და რა შევმატოთ. ყოველი წლის ბოლოს იკრიბება კომისია, რომლის წევრიც, სხვათაშორის, მე არ ვარ. მასწავლებლები ოთხქულიანი სისტემით თავად აფასებენ ერთმანეთს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

ეკატერინე კვირიკაშვილი
№82 საჯარო სკოლის დირექტორი

ელზა ბადაშვილი
№136 საჯარო სკოლის დირექტორი

ნათია ჯანაშია
ბრიტანულ-ქართული აკადემიის დირექტორი

გია ნოზაძე
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

ქეთი ჩაჩხიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

ნინო მუმლაძე
მასწავლებელი, №82 საჯარო სკოლა

მანანა ბოჭორიშვილი
ასოციაცია „ზეკარი“

შორენა საძაგლიშვილი
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

ნიკა ციმაკურიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

სოფიო გორგოძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

შეხვედრას უძღვებოდა „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი ხათუნა კვესელავა

ნათია ჯანაშია

როგორ შეხვდნენ მასწავლებლები ამ სიახლეს?

ეკატერინე კვირიკაშვილი: ყველა მასწავლებელს გავაცანი პროექტი, რათა სცოდნოდათ, რის გაკეთებას ვაპირებდი. ამან დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია – უნდობლობით შეხვდნენ, ჩათვალეს, რომ ამის უკან რაღაც იმალებოდა. გამოთქვეს პრეტენზია, რატომ უნდა იყოს ჩვენი სკოლა ავანგარდში, თუ სხვა სკოლებში ეს არ კეთდებაო. ვიფიქრე, რომ სათანადოდ ვერ განვუმარტე ჩემი ჩანაფიქრი და პროგრამის პრეზენტაცია გადავწყვიტე. სკოლაში პრაქტიკული თამაში ჩავატარეთ. ორი მოხალისე მასწავლებელი შევარჩიე და ვთხოვე, ერთმანეთი პროექტში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეეფასებინათ. ერთმანეთი მოკრძალებულად და ობიექტურად შეაფასეს. კრიტერიუმების მიხედვით, ბევრ მათგანს, თურმე, პრემიაც ეკუთვნოდა, რამაც დიდი ხალისი გამოიწვია. ავუხსენი, რომ უნდა ვიცოდე, ვინ რას აკეთებს – თუ ვინმე ზედმეტად იხარჯება და თვითგანვითარებაზე აქტიურად მუშაობს, უნდა დავუფასოთ და სკოლის ბიუჯეტში გავითვალისწინოთ.

ნათია ჯანაშია: თქვენ ყურადღება გაამახვილეთ მასწავლებლის გარეგან მოტივაციაზე, ხელფასზე, დაწინაურებაზე, მაგრამ რა კეთდება მასწავლებლის შინაგანი მოტივაციის, ენთუზიაზმის ასამაღლებლად? მასწავლებელი მოწოდებული უნდა იყოს, რომ კარგად ასწავლოს. შეფასების სისტემის მიზანიც ისაა, რომ სწავლების ხარისხი გაუმჯობესდეს. მთავარია შედეგი, რისთვისაც დაწინაურების ინტერესი საკმარისი არ არის. პედაგოგი უნდა იყოს იმ დონის პროფესიონალი და კითილსინდისიერი, რომ მაშინაც, როცა მას გაკვეთილზე შემოწმების მიზნით არ ესწრებიან, მოსწავლეს ხარისხიანი გაკვეთილი ჩაუტაროს.

ელზა ბადაშვილი: მასწავლებელი ყოველდღე შეიმუშავებს საგაკვეთილო გეგმას, რათა სასწავლო მიზნების მიღწევა უზრუნველყოს და ეფექტურად ანაწილებს საგაკვეთილო დროს. წლის განმავლობაში სასწავლო ნაწილი, სხვადასხვა მიზნით, სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს. ზოგჯერ შემოდის მშობლის განცხადება, რომ მასწავლებელი არაეფექტურად იყენებს საგაკვეთილო დროს. გაკვეთილზე დასწრებაც სწორედ ამის შესამოწმებლად ხდება. მთავარი მიზანი მოსწავლეთა სწავლის შედეგის გაუმჯობესებაა.

გია ნოზაძე: ამ ეტაპზე, როცა სკოლის განვითარების ელემენტარული ეტაპებიც კი არ არის გავლილი, შეუძლებელია მასწავლებლებს მაღალ კატეგორიებზე ველაპარაკოთ. მაშინ, როცა მათი 90 პროცენტი შიმშილის ზღვარზეა და აბსოლუტურად არამოტივირებულია მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, შეფასების სისტემების დანერგვა სკოლაში ძალიან მტკივნეული იქნება. არ ვსაუბრობ მასწავლებელთა იმ 10 პროცენტზე, რომელიც მოწოდებით პედაგოგია და ამ საქმის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ჯერ შევქმნათ მუშაობის პირობები და მერე ვესაუბროთ მასწავლებლებს მაღალ კატეგორიებზე.

ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ. როგორც ჩანს, უკეთესი წარმოდგენა მაქვს ჩვენს მასწავლებლებზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ პედაგოგთა 90% არამოტივირებული იყოს, კარგად ასწავლოს. თანაც, შეფასების სისტემის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კონტექსტის და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომი რესურსის, სამუშაო პირობების გათვალისწინებაა.

ნიკა ციმაკურიძე: მოტივაციის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, ცუდი არაფერია იმაში, თუ მასწავლებლებს მატერიალურად წავახალისებთ, მაგრამ შინაგანი მოტივაციისთვის ისიც საკმარისია, რომ მასწავლებელი, უბრალოდ, შეფასდეს. მოსწავლეს ხომ არაფერს აძლევენ, როცა ის ხუთიანს იღებს, თუმცა მაღალი ნიშანი მისთვის წახალისებაა. ასევეა, ალბათ, მასწავლებელიც. როცა მისი შრომის ხარისხით ინტერესდებიან, ეს უკვე წახალისებაა.

თუ ყველა ჩვენგანი იზიარებს მოსაზრებას, რომ მასწავლებლის შეფასება სკოლის დონეზე პოზიტიური სიახლეა, შემდეგ ასპექტზე გადავიდეთ და ვიმსჯელოთ შეფასების სისტემის დანერგვის კონკრეტულ გზებსა და მოდელებზე.

ნათია ჯანაშია: ჩვენ ვიყენებთ ჰარვარდის პროფესორის, ფინ მარშალის რუბრიკებს, რომლებიც ადაპტაციის

ელზა ბადაშვილი

შემდეგ სკოლაში დავნერგეთ და ჩვენს რეალობას მოვარგეთ. ამ რუბრიკებიდან აქ წარმოდგენილ ინდიკატორებს ბევრი ემთხვევა. მათ შორისაა: დაგეგმვა და სწავლებისთვის მომზადება, საკლასო ოთახის მართვა, დისციპლინა, მეთოდიკის გამოყენება, მოსწავლეთა შეფასება და მონიტორინგი, მშობლებთან ურთიერთობა, პროფესიული პასუხისმგებლობა და კოლეგიალობა. თითოეულ ამ კრიტერიუმში რამდენიმე კომპონენტი შედის. ვაფასებთ 4-ქულიანი სისტემით. პარალელურად, მასწავლებელი თვითშეფასებასაც ახორციელებს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მასწავლებლის შეფასების პროცესში მოსწავლეთა შედეგებს არ ვიყენებთ. პროცესზე ვართ ფოკუსირებული და არა მოსწავლის შედეგებზე – პირველ რიგში, იმიტომ, რომ ნიშნების გაყალბება არ მოხდეს. მასწვლებელმა უნდა იცოდეს, რომ მის მიერ დაწერილი ნიშანი არ იმოქმედებს მუშაობის შეფასებაზე. მოსწავლის შედეგებს ვიყენებ მხოლოდ იმისთვის, რომ დავინტერესდე, რა ხდება გაკვეთილზე.

გია ნოზაძე: N26-ე სკოლაში კონსულტანტად ვიყავი მიწვეული. მასწავლებლის შეფასების სისტემის შემოღებაზე თითქმის ერთი წელი ვიმუშავეთ. პირველ რიგში, გაჩნდა ნდობა დირექციასა და კოლექტივს შორის. პრაქტიკული მუშაობისას მასწავლებლებმა დაინახეს მათი შრომის შეფასების რეალური კრიტერიუმები და ტენდენცია. შეფასების სისტემა აუცილებელია, მაგრამ მისი დანერგვისას მასწავლებლებმა თავი დაცულად უნდა იგრძნონ. სისტემის მიზანი ზრუნვა უნდა იყოს და არა სასჯელი. ამგვარი მზრუნველობის შემდეგ თუ პედაგოგი ვერ განვითარდება, მის მიმართ სანქციების გამოყენების გამო პრეტენზია უკვე აღარავის ექნება.

მანანა ბოჭორიშვილი: საინტერესოა პირველი შედეგების გაცნობა იმ სკოლების მაგალითზე, რომლებშიც ეს სისტემა უკვე მუშაობს. რა იყო პირველი შედეგი, რაც შეფასების სისტემის ამოქმედების შემდეგ დაინახეთ და რა დრო დაჭირდა ამას?

ელზა ბადაშვილი: მყისიერი ეფექტი არ გვქონია. პირველმა სტატისტიკამ საშინელი სურათი მოგვცა. თურმე ჩვენს სკოლაში მუშაობა ნულის ტოლი იყო. მასწავლებლებს გაკვეთილზე შესვლის წინ საერთოდ არ ჰქონდათ გეგმა, არ იცოდნენ, როგორ გაენაწილებინათ საგაკვეთილო დრო. მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილის მსვლელობისას ეძებს, რომელი სავარჯიშო მისცეს მოსწავლეს, ბავშვს ველარაფერს მოსთხოვს. მოუმზადებელ გაკვეთილზე არც დისციპლინაა. შეფასების სისტემის დანერგვის შემდეგ, რა თქმა უნდა, პროგრესი გვაქვს.

ნინო მუმლაძე: მე, როგორც დამწყებ მასწავლებელს, შეფასების კრიტერიუმები ძალიან მეხმარება. როცა ქულები ჯამდება, ვხედავ ჩემს შედეგებს, ადვილად ვამჩნევ, რა შეცდომა მაქვს და როგორი მიდგომაა უკეთესი. ასეთი მუშაობა ჩემი, როგორც პროფესიონალის, განვითარებისთვის, ძალიან სასარგებლოა და პროფესიულ ზრდაშიც მეხმარება.

მასწავლებლის შეფასებას, როგორც წესი, სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს. გაკვეთილზე დასწრების მეთოდი ხშირად გამოიყენება. როგორ ფიქრობთ, უნდა იყვნენ თუ არა მასწავლებლები წინასწარ ინფორმირებული დასწრების შესახებ?

ნათია ჯანაშია: ვფიქრობ, რომ ისინი წინასწარ არ უნდა გავაფრთხილოთ. თუმცა უნდა იცოდნენ, რომ დირექტორი ან მისი მოადგილე გაკვეთილის მსვლელობით ნებისმიერ დროს შეიძლება დაინტერესდეს. თუ წინასწარ გავაფრთხილებთ, ხელში დადგმული შოუ შეგვრჩება, რომელიც რეალურ სურათს ვერ დაგვანახებს. როცა წინასწარ აფრთხილებ, მასწავლებელიც სხვანაირად იქცევა და მოსწავლეც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, წელიწადში რამდენჯერ შევალთ გაკვეთილზე – ხშირი დასწრებით წარმატებულ გაკვეთილსაც ვნახავთ და ჩავარდნასაც.

ელზა ბადაშვილი: გაკვეთილზე მასწავლებლის გაუფრთხილებლად შესვლა თავდასხმის ტოლფასია. ასეთ

ქეთი ჩაჩხიანი

შემთხვევაში, ერთმა წარუმატებელმა გაკვეთილმაც შეიძლება შეცვალოს ობიექტური სურათი. გაუფრთხილებლად მხოლოდ მაშინ შევდივარ, როცა არც სწავლების მეთოდს ვაფასებ და არც პროცესს. მხოლოდ მაინტერესებს, არის თუ არა კლასში სამუშაო სიტუაცია და ამისთვის 2-3 წუთიც მყოფნის.

რამდენად მისაღებია სკოლებისთვის შეფასების პროცესში გარე ექსპერტების ჩართვა?

ეკა კვირიკაშვილი: გარე ექსპერტის დასწრებას მასწავლებელები ჩასაფრებად აღიქვამენ. არავის უნდა, რომ მის გაკვეთილს უცხო პირი ესწრებოდეს. როცა გაკვეთილზე შესვლა მინდა, ვცდილობ კათედრის გამგეს-

თან ერთად შევიდე. ჩემი ფუნქცია მენეჯმენტის წარმართვაა, პროფესიული დეტალების განხილვას კათედრის გამგეებს ვავალებ.

ჩანს, აუცილებელია მასწავლებლის კომპლექსური შეფასება და მრავალმხრივი ინდიკატორების გამოყენება. არაერთ ქვეყანაში მასწავლებლის შეფასებისას სკოლები არა მოსწავლის შიდასასკოლო შეფასებას, არამედ სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული გამოცდების შედეგად გამოვლენილ სწავლის შედეგებს იყენებენ. რამდენად გამართლებულია ასეთი მიდგომა ქართულ რეალობაში?

სოფიო გორგოძე

შორენა საძაგლიშვილი: ეროვნული საწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშავა შეფასების სისტემა, რომელიც მოსწავლეების შეფასებას, მათი პროგრესისა და უნარ-ჩვევების გაზომვას გულისხმობს. ამოწმებს, რამდენად აღწევენ ისინი იმ შედეგებს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. თუმცა მოსწავლის შედეგის გარდა მოწმდება ის ფაქტორებიც, რაც სწავლის შედეგებზე ახდენს გავლენას, შესაბამისად, მასწავლებლის მუშაობაც. ეს არის კვლევა, რომლის შედეგები სკოლას თვითშეფასების დამკვიდრებაში დაეხმარება. კვლევა ყველგან ჩატარდება და მასწავლებლებს ექნებათ საშუალება, მოიპოვონ ეს ტესტები და გაზომონ მოსწავლეების მიერ მიღწეული პროგრესი.

ქეთი ჩაჩხიანი: მიმაჩნია, რომ მსგავსი შეფასება დამოუკიდებელმა სააგენტოებმა უნდა განახორციელონ, რომლებსაც სასწავლო გეგმების დანერგვა-განხორციელების პროცესთან შეხება არა აქვთ. მათ არ უნდა ჰქონდეთ კავშირი იმ ორგანოსთან, ვის ინტერესებშიც შედის თავისივე შექმნილი მასალის დადებითი შეფასება. თუ ამ კვლევას ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი ატარებს, საქმე გვექნება ინტერესთა კონფლიქტთან და ამგვარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობა არასაიმედოდ მიმაჩნია. შეუძლებელია ერთი და იგივე სააგენტო წერდეს, ნერგავდეს და თავადვე აფასებდეს საკუთარ ნამუშევარს.

სკოლას შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, გამოიყენოს თუ არა ეს კვლევა მასწავლებლების შეფასებისათვის. ცენტრი მხოლოდ დამატებით რესურსს ქმნის ამ კუთხით, შემდეგ კი თავად სკოლის გადასაწყვეტია მისი გამოყენების საკითხი.

შორენა საძაგლიშვილი: ცენტრი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის ავტორია, შედეგების გაუმჯობესებით არის დაინტერესებული. სწორედ ამ მიზნით ატარებს შეფასებას. ეს არის კვლევა და არ გამოიყენება არც დირექტორების და არც მასწავლებლების შესაფასებლად, შედეგად მხოლოდ ტენდენციები დაფიქსირდება.

ქეთი ჩაჩხიანი: ვაღიარებთ, რომ ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლაში მასწავლებლების შეფასება აუცილებელია, მაგრამ თუ ეს პროცესი არასწორად წარიმართა, შესაძლოა, ნეგატიური შედეგი გამოიღოს. ყველა არ არის ენთუზიაზისტი დირექტორი, ვისაც ამ სისტემის დანერგვის სურვილი ან შესაძლებლობა აქვს. ამიტომ ორგანიზება პედაგოგთა პროფესიული განვითარების ცენტრმა უნდა ითავოს. ყოველ შემთხვევაში, ეს სისტემა ქვეყნის მასშტაბით უნდა ამოქმედდეს და ცალკეული სკოლების ინიციატივად არ უნდა დარჩეს.

სოფო გორგოძე: მასწავლებელთა შეფასების სისტემის არსებობას სკოლის განვითარებისთვის აუცილებელ ფაქტორად ვთვლით. თუმცა არ გვინდა, ამ ეტაპზე სკოლები დავავალდებულოთ მსგავსი სისტემები დანერგონ. სახელმწიფო შეფასება, სერტიფიცირების სახით, უკვე დაგეგმილია და მას ჩვენ გავუწევთ ორგანიზებას, ხოლო შიდასასკოლო შეფასების სისტემები თავად სკოლების ინიციატივა უნდა იყოს. აქ დღეს საუბარი იყო პედაგოგების მძიმე სოციალურ პირობებზეც, იმაზე. რომ რთულია მასწავლებელს მრავალგვარი შეფასება მოუწყო, როცა მათი ანაზღაურება არაადეკვატურია. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი შეფასების სისტემა მასწავლებლის წახალისების და მოტივაციის საშუალება იქნება, ეს მხოლოდ წაადგება მასწავლებელსაც და სკოლასაც. ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ საკითხის ჟურნალის მთავარ თემად არჩევა და სკოლებისთვის ინფორმაციის მიწოდება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა სკოლამ უკვე დანერგა შეფასების სისტემები და ცდილობენ მათ გაუმჯობესებას. იმედი გვაქვს ჟურნალის საშუალებით შევძლებთ სხვა სკოლების სათანადოდ ინფორმირებას და ამ თემაზე დაფიქრებას. ვფიქრობ, ეს უკვე პოზიტიური ნაბიჯია.

მასწავლებლის შეფასება სკოლაში
– გზა პროფესიული ზრდისკენ

ვინ, რას და რა მეთოდით ასწავლის მოზარდებს სკოლაში – ზოგადი განათლების ხარისხს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მასწავლებლის პროფესიონალიზმიც განაპირობებს. სწავლების ხარისხზე მიმდინარე დებატების დროს დასმულ არაერთ შეკითხვას პასუხი საკლასო ოთახებში გაეცემა – აქ ყველაზე კარგად ჩანს, შეუძლია თუ არა მასწავლებელს შედეგის მიღწევა. ზოგადად, სახელმწიფო სერტიფიცირება პედაგოგებს სწავლების უფლებას აძლევს, თუმცა ამის შემდეგ ბევრ ქვეყანაში სკოლა მათ კვალიფიკაციას მუდმივად დამოუკიდებლადაც აფასებს. როგორ შევაფასოთ მასწავლებლები და საჭიროა თუ არა ასეთი სისტემის დანერგვა საქართველოში? ეს საკითხი თავად სკოლების გადასაწყვეტია – ამ კუთხით, კანონი მათ სრულ ავტონომიას ანიჭებს. მასწავლებლის შეფასების რა მოდელებს იყენებენ სკოლები დასავლეთში – უცხოური გამოცდილება რუსუდან ჭანტურიამ მიმოიხილა.

რუსუდან ჭანტურია

რატომ
უნდა შევაფასოთ

სკოლის დონეზე მასწავლებლის შეფასება რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, ეს სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შედეგის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი გზაა. სკოლაში მიუკერძოებელი და სამართლიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში, მასწავლებელს ეძლევა საშუალება, გადახედოს სწავლების მეთოდებს, დაინახოს და შეაფასოს საკუთარი მიდგომის სუსტი და ძლიერი მხარეები და შედეგად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სწავლების პროცესი. მასწავლებლის შეფასებაზე დაყრდნობით, სკოლას შეუძლია, მატერიალური თუ არამატერიალური ფორმებით, ფულადი პრემიებითა და დაწინაურების გზით, სამართლიანად წაახალისოს საუკეთესო მასწავლებლები.

როგორ შევაფასოთ

რა მეთოდით ხორციელდება მასწავლებლის შეფასება სკოლის დონეზე? რა მექანიზმები არსებობს პედაგოგის ეფექტურად და მიუკერძოებლად შესაფასებლად? სხვადასხვა ქვეყანაში სკოლებისა და მეცნიერების მიერ შემუშავებული შეფასების არაერთი მოდელი არსებობს. ყველა მიდგომას თავისი ძლიერი და სუსტი მხარე აქვს, თუმცა მიზანი ერთია – მასწავლებლის ობიექტური შეფასება, ეფექტური და მოქნილი სისტემით.

არსებობს შეფასების მოდელები, რომლებიც, ძირითადად, სწავლების გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური მოსწრების ამაღლებაზეა ორიენტირებული. ასეთი მოდელები პედაგოგის შეფასებისას, ძირითადად, მოზარდის ცოდნის შეფასებას ეყრდნობა. ზოგიერთი მიდგომა ითვალისწინებს მასწავლებლის ანგარიშვალდებულების ზრდასაც, როგორც მისი პროფესიული განვითარების კომპონენტს. მათი უმრავლესობა პედაგოგის მოვალეობაზე ამახვილებს ყურადღებას და აფასებს, რამდენად ართმევს იგი თავს ნაკისრ ვალდებულებებს. მსგავსი მოდელები ხშირად გაძლიერებულ ადმინისტრაციულ კონტროლსაც გულისხმობს.

გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლის შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი პროფესიული უნარების, ან მოსწავლის სწავლის შედეგების შეფასებით – აუცილებელია მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომი რესურსებისა და მისი სამუშაო გარემოს, პირობების გათვალისწინებაც.

კლასზე დაკვირვება

სკოლაში მასწავლებლის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ფართოდ გამოყენებადი მოდელი *კლასზე დაკვირვებაა*. ამ დროს პედაგოგის შეფასება გაკვეთილებზე დასწრების გზით ხდება. დაკვირვებას, როგორც წესი, დირექტორი, ადმინისტრაციული ხელმძღვანელები ან სპეციალურად მომზადებული ჯგუფი ახორციელებს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს მასწავლებლის სისტემური შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოდელი და სტრატეგიის უმთავრესი კომპონენტია (სტოდოლსკი, 1990), რომელიც, ძირითადად, შიდა შეფასებისთვის გამოიყენება და არა დაწინაურებისა თუ დაჯილდოებისთვის.

სწავლების პროცესის შეფასება

სწავლების პროცესის შეფასების მოდელი *კლასზე დაკვირვების* მსგავსია და ასევე გაკვეთილზე დასწრებას ითვალისწინებს. თუმცა, ამ დროს სწავლის პროცესის შეფასება ხელმძღვანელის მიერ, სარეიტინგო სქემების გამოყენებით ხდება. ეს მოდელი დირექტორს სკოლაში მასწავლებლის სარეიტინგო სისტემის დანერგვის საშუალებას აძლევს, რომლის საფუძველზეც, წლის საუკეთესო პედაგოგების გამოვლენა, დაჯილდოება და დაწინაურება ხდება. მასწავლებლის სარეიტინგო სისტემა ყოველწლიურად იცვლება, რაც შესაძლებელს ხდის მისი პროფესიული ზრდის ტენდენციების შეფასებას (მაგ: რომელი ადგილიდან რომელზე გადაინაცვლა პედაგოგმა). გარდა ამისა, აღნიშნული მოდელის დანერგვის შემთხვევაში, სწავლების ბევრ მნიშვნელოვან ასპექტზე – ხარისხზე, დროის განაწილებაზე, სწავლების მეთოდებსა და შინაარსზე მახვილდება ყურადღება.

მოსწავლის ცოდნის შეფასება

დიდ ბრიტანეთში, აშშ-ს ზოგიერთ შტატსა და კანადაში ხშირად გამოიყენება მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის შეფასებას მოსწავლის სწავლის შედეგის გაზომვით, ანუ ცოდნის შეფასებით. ამ სისტემის ფარგლებში, სკოლა სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებულად ადმინისტრირებული შეფასებით მიღებულ შედეგებს, ანუ მოსწავლის მიერ დაგროვებულ ქულებს მასწავლებლის შესაფასებლად იყენებს. ამგვარ შეფასებას უარყოფითი მხარეც აქვს – თუ პედაგოგმა იცის, რომ მას მოსწავლის მიერ მიღებული ქულების მიხედვით შეაფასებენ, იგი ყოველთვის ეცდება, სწავლებისას ძირითადად ტესტებზე იყოს ორიენტირებული. შესაბამისად, მხოლოდ მოსწავლის ცოდნის შეფასებაზე დაყრდნობით მასწავლებლის შეფასება გაუმართლებელია.

სამსახურებრივი შეფასება

ტრადიციული მოდელების გარდა, რამდენიმე ქვეყანაში ამოქმედდა ახალი მექანიზმები, რომლებსაც მასწავლებლის შესაფასებლად სკოლები სულ უფრო ხშირად იყენებენ. მათ შორისაა *სამსახურებრივი შეფასება*. ამ მოდელის ფარგლებში, შემფასებლები დაკვირვებისათვის კონკრეტულ სტანდარტებს ან შეკითხვებს იყენებენ. ისინი, როგორც წესი, მასწავლებლის ზოგად პროფესიულ სტანდარტებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

პირველ ორ მოდელთან შედარებით, *სამსახურებრივი შეფასება* უფრო კომპლექსური და მრავლისმომცველია. ამ დროს მასწავლებლის შეფასება ხდება არა მხოლოდ კლასზე დაკვირვების საფუძველზე, არამედ სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებითაც. ამ მოდელის ფარგლებში, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება პედაგოგის კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობაზე და სხვ.

პორტფოლიოს შეფასება

ეს მოდელი გულისხმობს *პორტფოლიოს შეფასებას*, რაც, ფაქტობრივად, მასწავლებლის მიერ გაწეული

სამუშაოს შეფასებას ნიშნავს. მაგალითად, დაწყებითი კლასის პედაგოგის პორტფოლიო შეიძლება მოიცავდეს მოსწავლეებისათვის მიცემული დავალებებისა და მითითებების ჩამონათვალს, სამიდან ხუთ კვირამდე სასწავლო პროცესის მიმოხილვას, ორი ან სამი გაკვეთილის დეტალურ აღწერას, გამოყენებულ ლიტერატურას, მოსწავლეთა ნამუშევრებს, ვიდეოჩანაწერებს და სხვ. ამ მოდელის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მდიდარ მასალას იძლევა მასწავლებლის ცოდნის შესაფასებლად. თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ის, რაც პორტფოლიოშია თავმოყრილი, ზოგჯერ რეალობას არ შეესაბამება. შესაძლოა, მასწავლებელმა მისი კოლეგის მიერ შემუშავებული გაკვეთილის გეგმა, სილაბუსი, ტესტები და დავალებები წარუდგინოს შემფასებელთა ჯგუფს.

ინტერვიუ

მასწავლებლის შესაფასებლად, დასავლურ ქვეყნებში, სკოლები ხშირად *ინტერვიუს* მეთოდსაც იყენებენ. კარგად ჩატარებული ინტერვიუ ბევრ ინფორმაციას იძლევა პედაგოგის საგნობრივ თუ პროფესიულ ცოდნასა და გეგმებზე. ამ დროს შემფასებელს დამატებითი შეკითხვების დასმის შესაძლებლობაც აქვს. მიუხედავად არაერთი უპირატესობისა, *ინტერვიუ* საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. გარდა ამისა, იზრდება ასევე მიკერძოებისა და სუბიექტური შეფასების რისკი.

უცხოეთში სკოლის დონეზე მასწავლებლის შეფასების არაერთი მისაღები და პრაქტიკაში აპრობირებული მოდელი მოქმედებს, თუმცა მათ შორის არცერთი არის სრულყოფილი. ამიტომ შეფასებისას აუცილებელია ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც რამდენიმე მექანიზმს გააერთიანებს და შესაბამისად, მასწავლებლის მრავალმხრივ და ობიექტურ შეფასებას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია ასევე პედაგოგის შეფასება კონტექსტისა და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით.

სკოლაში მასწავლებლის შეფასების მიზნები

- სწავლის პროცესის გაუმჯობესება;
- მასწავლებლის პროფესიული ზრდა და განვითარება;
- იმ მასწავლებლების გამოვლენა, რომლებიც დამატებით პროფესიულ განვითარებას საჭიროებენ;
- საუკეთესო მასწავლებლების შერჩევის პროცესის გაუმჯობესება;
- მასწავლებლის სათანადო და ეფექტური შეფასებით სკოლის სისტემასა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- სამართლიანი შეფასების საფუძველზე მასწავლებლისათვის სამუშაო ადგილის შენარჩუნებასა და დაწინაურებაზე, სხვადასხვა ფორმით წახალისებაზე გადაწყვეტილებების მიღება.

რჩევები მასწავლებლის შეფასებისათვის

- ხაზი გაუსვით, რომ შეფასების ძირითადი ფუნქცია, მასწავლებლის საუკეთესო თვისებების და ღვაწლის აღიარებაა;
- ჩართეთ ერთზე მეტი ადამიანი მასწავლებლის შეფასების პროცესში; შეზღუდეთ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ერთპიროვნული შეფასების პრაქტიკა;
- გამოიყენეთ სხვადასხვა მონაცემები და წყარო მასწავლებლის შესაფასებლად;
- გაითვალისწინეთ კონტექსტი და სკოლის რესურსები მასწავლებლის შეფასების დროს;
- გამოიყენეთ მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებლის თვითგანვითარებას და ამავდროულად გაზრდის მის ანგარიშვალდებულებას;
- შეაფასეთ მასწავლებელი პროფესიულ სტანდარტებზე დაყრდნობით;
- გაეცანით კვლევებსა და რესურსებს მასწავლებლის შეფასების აპრობირებული სისტემების შესახებ.

გიგა ზედანიას
იმედგაცრუება და თავისუფლება

იგი ქართული და დასავლური განათლების სისტემების „წარმატებული პროდუქტია“ – სკოლა თბილისში დაამთავრა, იყო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. მესამე კურსზე სწავლა აშშ-ში, ბარდ კოლეჯში განაგრძო, სამაგისტრო ნაშრომი ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დაიცვა, ხოლო სადოქტორო დისერტაცია – გერმანიაში, ბოხუმის რურის უნივერსიტეტში. ახლა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი და პროფესორია. გიგა ზედანია, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქართულ და დასავლურ განათლების სისტემებს ადარებს, სტუდენტების მაგალითზე კი სასკოლო განათლებასაც აფასებს – აძლევს თუ არა დღეს მოზარდს სკოლა იმ ცოდნას, რომელიც მას ზოგადი განათლების მიღების შემდეგ წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

ეკა ქევანიშვილი

ათი წლის წინ საქართველოში ხუმრობდნენ, რა კარგი იქნებოდა, უნივერსიტეტში მარტო პროფესორები და ბუღალტერი რომ იყვნენო. ყველა ხუმრობაში არის ხუმრობის წილი, მაგრამ დანარჩენი სიმართლეა.

გიგა, თქვენი ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ სკოლის შემდეგ მუდმივად ცდილობდით, განათლება დასავლეთში გაგეგრძელებინათ. რატომ?

57-ე სკოლა 1994 წელს დავამთავრე. ქვეყანაში სამოქალაქო ომი იყო, ქუჩაში ისროდნენ. ბოლო სამი წელი სკოლაში ვკითხულობდი იმას, რაც მინდოდა. ერთი წელი მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი. სწორედ ამ დროს ვეზიარე მაშინდელი სისტემის ყველა სიმახინჯეს, ჩაწყობასა და არასაჭირო მასალის ზუთხვის აუცილებლობას. მისაღებ გამოცდებზე მივხვდი, რომ ამ ქვეყანაში წარმატება ცოდნაზე არ იყო დამოკიდებული. ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას ისეთი განცდა მქონდა, რომ ეს წარუმატებელი ადამიანების ფაკულტეტი იყო. უმაღლესი განათლება არსებულ მოთხოვნებს აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა. როდესაც პროფესორს პლაგიატის არ რცხვენია, ვერც სტუდენტს მოსთხოვ კეთილსინდისიერებას. სტუდენტებიც დავალებებს პირდაპირ წიგნებიდან იწერდნენ და ნიშანს ასე იღებდნენ. ლექციების ცხრილი იმის მიხედვით იყო შედგენილი, რომელ პროფესორს რამდენი საათი სჭირდებოდა და ამიტომ დღეში ექვსი ან შვიდი ლექცია გვქონდა, რაც არანორმალურია. პირველ კურსზე ლექციებზე აქტიურად დავდიოდი, თუმცა მთელი წელი დეპრესიაში გავატარე. მესამე კურსზე სტიპენდია მივიღე და ამერიკაში წავედი, ლიბერალური ხელოვნების კოლეჯში მოვხვდი, სადაც თავისუფალი და ასე ვთქვათ, „არისტოკრატული“ განათლების ტრადიციაა. პირველ წელს ყველა სტუდენტი არა მხოლოდ საკუთარ ვიწრო სპეციალობას ეუფლება, არამედ ძალიან ღრმა, ზოგად განათლებასაც იღებს.

რა იყო ამერიკაში სწავლისას თქვენი მთავარი აღმოჩენა – ის, რაც იქ ნახეთ და მიხვდით, რომ აქ გაკლდათ?

პირველი – ეს იყო განცდა, თუ რას ნიშნავს კარგი ბიბლიოთეკა. ყველა ის წიგნი, რომელზეც 15 წლიდან ვოცნებობდი, იქ დამხვდა. მეორე – შეგეძლო აგერჩია სასურველი კურსი. ეს სისტემა გაძლევდა განათლებას, რომელიც გეხმარებოდა ცხოვრების სურვილისამებრ წარმართვაში. ასეთი არჩევანი, როგორც მოქალაქეს, დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. სწორედ ამ დროს ხვდები, რომ კონკრეტული საზოგადოება ვერ იარსებებს, შენი ძალიან ცნობიერი და აქტიური ძალისხმევის გარეშე. ეს იყო თავისუფლების ფანტასტიკური განცდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამიმართლა, რადგან კარგ კოლეჯში მოვხვდი. ამერიკის საგანმანათლებლო სისტემა ძალიან არათანაბარია. არის ბრწყინვალე უნივერსიტეტები და ასევე სასწავლებლებიც, სადაც რამდენიმე „კოვბოი“ ზის და არავინ იცის, რას აკეთებს იქ.

გიგა ზედანია

დღეს სტუდენტებთან აქტიური შეხება გაქვთ. მათი უმეტესობა უნივერსიტეტში სკოლის დამთავრებისთანავე ხვდება. რამდენად არიან ისინი მზად უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად?

სამწუხაროდ, მათი მზაობა ძალზე შორსაა სასურველი დონისაგან. მოტივაცია უდავოდ გაზრდილია იმასთან შედარებით, რაც იყო, თუნდაც, ათი წლის წინ. მაგრამ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების, ან მასალის კრიტიკულად ათვისების უნარი, არგუმენტირებულად წერისა და მსჯელობის უნარი – ყოველივე ამის ნაკლებობა იგრძნობა. ამიტომაც ჩაითვალა, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომ ლიბერალური განათლების მოდელი საუკეთესო მეთოდი იქნებოდა სტუდენტთა წინაშე არსებული პრობლემების დასაძლევად. პირველ კურსზე სტუდენტებს საერთო პროგრამას ვთავაზობთ, რომელიც გულისხმობს როგორც გარკვეული უნარების განვითარებას, ისე დასავლური აზროვნების განვითარების ისტორიაზე წარმოდგენის შექმნას. ვაკითხებთ პლატონის, მაკიაველის, დარვინის, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი უზნაძისა და სხვა ავტორების კლასიკურ ნაშრომებს. შედეგად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარ სპეციალობას ბევრად უფრო სიღრმისეულად დაეუფლონ.

როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებებია საჭირო იმისათვის, რომ სკოლამ მოზარდები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადოს?

ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების ფაქტი, ისევე როგორც ის ოპერატიულობა, რომლითაც მისი იმპლემენტაცია მოხდა. მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო მასალების მომზადებაც, რომელთა დახვეწა-გაუმჯობესების პროცესი, რასაკვირველია, მომავალშიც გაგრძელდება. მაგრამ ასევე აუცილებელია, რომ სკოლა მოსწავლეებს ნორმალური სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფდეს. მარტივი მაგალითი: თუ მასწავლებელი სკოლაში სამოქალაქო განათლებას ასწავლის, მაგრამ ამას აკეთებს, ასე ვთქვათ, ავტორიტარული მეთოდით, ანუ მოითხოვს მოსწავლისგან იმის ზუსტ გამეორებას, რასაც თვითონ მიიჩნევს სწორად, არ აძლევს მას კრიტიკული განსჯისა და დაეჭვების საშუალებას, პატივს არ სცემს მის აზრს – მაშინ გამოვა, რომ მოსწავლე სწავლის პროცესში შეითვისებს იმისგან განხვავებულ ღირებულებებს, რასაც სამოქალაქო განათლების სასწავლო მასალა ითვალისწინებს. მეორე მაგალითი: თუ მოსწავლე დაინახავს, რომ დემოკრატია, რომელზეც იმავე სამოაქალაქო განათლების პროგრამაშია საუბარი, მის სკოლაშიც არის დამკვიდრებული, თუ

დარწმუნდება, რომ მის ხმას ყურადღება ექცევა და სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება რაციონალური დისკუსიის შედეგად ხდება, ის ბევრად უფრო ადვილად აითვისებს დემოკრატიული მოქალაქეობის კულტურას, ვიდრე გაკვეთილების დაზუთხვით.

მოზარდებს ღირებულებების სისტემა სასკოლო ასაკში უყალიბდებათ. ფიქრობთ თუ არა, რომ სკოლა უფრო აქტიური უნდა იყოს ამ მხრივ, ან მასწავლებლებს უკეთ უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული ეს ფუნქცია?

ზოგადი განათლების დონეზე მოზარდს უნდა მიეწოდოს ღირებულებათა ორი ჯგუფის შესაბამისი წარმოდგენები. ერთია ნაციონალისტური – არა ნეგატიური, ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ქართველების უპირატესობას ქადაგებს სხვა ერებსა და ეთნოსებზე, არამედ სამოქალაქო ნაციონალიზმი, რომელიც გულისხმობს პატრიოტიზმს, საკუთარი ქვეყნის სიყვარულს, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობით სიამაყეს – მემკვიდრეობით, რომელიც ქართულია, თუმცა მასში ბევრი სხვა ეთნოსის წარმომადგენელმაც შეიტანა საკუთარი წვლილი. მეორეა ლიბერალური – ინდივიდის თავისუფლება, როგორც საზოგადოების მოწყობის ქვაკუთხედი.

ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის ჰარმონიულად მიწოდება მოსწავლეებისათვის – სწორედ ეს იქნება სკოლის ყველაზე დიდი შენატანი მოქალაქეების ღირებულებათა სისტემის ფორმირების საქმეში.

არ უნდა გვეგონოს, თითქოს ნაციონალიზმი და ლიბერალიზმი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. პირიქით, თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება, თუ ღირებულებათა ეს ორი ჯგუფი ჩვენს ქვეყანაში ერთმანეთთან თანხმობასა და ჰარმონიაში არ მოვა. ჰოდა, ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის ჰარმონიულად მიწოდება მოსწავლეებისათვის – სწორედ ეს იქნება სკოლის ყველაზე დიდი წვლილი მოქალაქეების ღირებულებათა სისტემის ფორმირებაში.

შეიცვალა ბოლო წლებში განათლების სისტემა საქართველოში? ხედავთ პროგრესს?

ჩემი აზრით, სისტემა იცვლება და იცვლება სასიკეთოდ. პრობლემა ის არის, რამდენად ყოვლისმომცველია ეს ცვლილებები. შემიძლია ვთქვა, რომ შეცვლილია იმ სტუდენტების მენტალობა, რომლებიც ახლა აბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში. მათ მეტი პრეტენზია აქვთ და ხარისხიან განათლებას მოითხოვენ. რეფორმებმა აამაღლა უნივერსიტეტების პრესტიჟი, მეტი ინვესტიცია ჩაიდო უნივერსიტეტებში. თუ ადრე საუკეთესო მეცნიერი იყო ის, ვისაც სხვა სამუშაო ჰქონდა, ხოლო წარუმატებლები იყვნენ ისინი, ვინც მხოლოდ უნივერსიტეტის ამარა დარჩნენ, დღეს ასე აღარ არის. მხოლოდ უნივერსიტეტებში მუშაობა პრესტიჟულიცაა და შესაძლებელიც. შეიცვალა სტუდენტის მიმართ დამოკიდებულებაც – გასაგები გახადა, რომ სისტემა მასზე უნდა იყოს ორიენტირებული. უმაღლესი განათლების რეფორმას მოჰყვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიზაციაც. უნივერსიტეტი წყვეტს, როგორი იქნება მისი მიდგომა. თუ რეფორმამდე ის ყველგან ერთნაირი იყო, დღეს არჩევანი არსებობს. ზოგიერთმა უნივერსიტეტმა აირჩია ცვლილებების გზა, ზოგმა – არა და ძველ წესს დაუბრუნდა. გრძელვადიან პერსპექტივაში თუ შევხედავთ, საუკეთესო სტუდენტები ნელ-ნელა სწორედ ისეთ უნივერსიტეტებში გადაინაცვლებენ, ხოლო ვინც ტრანსფორმაციის გზაზე უარი თქვა, ისინი ამ ახალ დინამიკას ფეხს ვერ აუწყობენ.

თქვენი აზრით, რა ეტაპებია გასავლელი იმისთვის, რომ საქართველოში მიღებული განათლება იყოს ხარისხიანი და პრესტიჟული?

პირველ რიგში, უნდა გაიზარდოს სახელმწიფო დაფინანსება. ეს აუცილებელი პირობაა. უნდა შემუშავდეს მეცნიერების განვითარების პოლიტიკა. უნდა ვიცოდეთ, რას ველით განათლების სისტემისგან – მხოლოდ ბაკალავრებს, რომლებსაც შეეძლებათ დასაქმება სერვისის სფეროში, თუ გვექნება დისციპლინები, სადაც მეცნიერული მუშაობა იწარმოებს. თუ ეს უკანასკნელი გვინდა, მაშინ მეცნიერებას უფრო დიდი დაფინანსება დასჭირდება. კარგად უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება ამ სფეროში ადამიანური რესურსების სიმწირის პრობლემის გადაჭრა. უახლოესი წლების მანძილზე, შესაძლოა, გაკეთდეს პროგრამები, რომელთა მეშვეობით ადამიანები შეძლებენ, განათლება უცხოეთის უნივერსიტეტებში მიიღონ და შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში. არჩევანი ბევრია, მთავარია, დაიდოს გრძელვადიანი სტრატეგია, რომ გადადგმული ნაბიჯები იყოს არა სპონტანური, სწრაფ გამოწვევაზე სწრაფი პასუხი, არამედ იმ პოლიტიკის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც სისტემის ტრანსფორმაცია მოხდება. ეს გეგმა უნდა ემყარებოდეს ფართო კონსენსუსს განათლების სისტემაში მომუშავე სუბიექტებს შორის. ათვლის წერტილი – არსებული სიტუაცია არ არის დამაკმაყოფილებელი. ერთი მხრივ, იმის განცდა, რომ უამრავი გასაკეთებელი საქმეა და მეორე მხრივ, ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი, ჩემი აზრით, განათლების სისტემის ტრანსფორმაციის წარმატებით გაგრძელების შესაძლებლობას მოგვცემს.

წიგნიერება საქართველოში

ქართველი მოზარდები უცხოელ თანატოლებს წიგნიერების დონით ჩამორჩებიან

თეა თოფურია

როგორ ინარჩუნებს პინგვინი სითბოს ანტარქტიდაში? – იმ საინფორმაციო ტექსტის წაკითხვის შემდეგ, რომელშიც პინგვინების მიერ სითბოს შენარჩუნების სამ მიზეზზეა საუბარი, ორის დასახელებას ქართველი მოსწავლეების მხოლოდ 29% ახერხებს. ქვეყნების პირველ ხუთეულში კი ეს მაჩვენებელი 90%-ს აღწევს. საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მიერ 10 წლის ბავშვებში ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ჩვენთან წიგნიერების დონის მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია – 45 ქვეყანასა და პროვინციას შორის საქართველო 37-ე ადგილზე აღმოჩნდა.

საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მიზანი 9-10 წლის ბავშვებში წიგნიერების დონის შეფასებაა. იგი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება. 2006 წელს კვლევა მსოფლიოს 41 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ჩატარდა. მოსწავლეების კითხვის უნარი გერმანიაში, შვედეთში, აშშ-ში, ჰონგ-კონგში, მოლდოვაში, სამხრეთ აფრიკაში, ინდონეზიაში, რუსეთსა და სხვა მრავალ ქვეყანაში შეფასდა. კვლევამ საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა: მასში 4350 მოსწავლე, 4 341 მშობელი, 225 მასწავლებელი და 149 სკოლა მონაწილეობდა.

PIRLS ყველა ქვეყანაში ერთდროულად, ერთი მეთოდოლოგიით, ერთი კითხვარით და უნიფიცირებული ტესტით ტარდება. წიგნიერების ცნებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს და კვლევა სწორედ ამ ფაქტორების შესაბამისი უნარების განვითარების დონეს აფასებს. იგულისხმება, რომ აღნიშნულ ასაკში ბავშვს უნდა შეეძლოს: ა) სხვადასხვა სახის, მხატვრული თუ საინფორმაციო ტექსტის არსის გაგება და ჩამოყალიბება; ბ) ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრეფა; გ) მხატვრული ტექსტის კითხვისას სიამოვნების განცდა.

კვლევაში მონაწილე 9-10 წლის მოსწავლეებს დაურიგდათ ნათარგმნი სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ტექსტები, ასევე საგანგებოდ შედგენილი ტესტი, რომლის მიზანიც აღქმის უნარის შეფასება იყო. მოზარდებს მიღებული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან შედარების უნარიც უნდა გამოევლინათ. ჩატარდა ასევე მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვა, იმ

გარე ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც წიგნიერების დონეზე ზემოქმედებს.

ქართველ მოსწავლეებს საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ: წიგნიერების საერთო მაჩვენებელი (471) მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს (500). ქალაქებში მცხოვრებ ბავშვებს სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ, ხოლო გოგონების წიგნიერების კოეფიციენტი გაცილებით მაღალია (საშუალო მაჩვენებელზე მაღალი), ვიდრე ვაჟებისა. ქართველი მოსწავლეები საინფორმაციოზე უკეთ მხატვრულ ტექსტს აღიქვამენ და წარმატებით ართმევენ თავს ისეთ დავალებას, რომელიც ტექსტის ინტერპრეტაციას არ მოითხოვს. წიგნიერების თვალსაზრისით, უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც ხშირად კითხულობენ და ოჯახშიც ბევრი წიგნი აქვთ. ასევე, გამოირჩევიან ისინი, ვინც მცირე ასაკიდან ჩართულნი არიან კითხვის უნარის განმავითარებელ აქტივობებში, მაგალითად, ასოებით თამაშში.

წიგნიერებაში მოსწავლეთა მიღწევების რეიტინგული სია



გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ია კუტალაძე** ამბობს, რომ „ბავშვისთვის წიგნთან შეხება და კითხვის შესწავლა გაკვეთილებით არც იწყება და არც ამოიწურება. ეს არის პროცესი, რომლისთვისაც იგი სკოლამდელ ასაკში უნდა მოვამზადოთ“. სხვა ქვეყნებში მოსწავლეებს, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიოდნენ, წიგნიერების უფრო მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებათ, ვიდრე მათ, რომლებსაც იქ არ უვლიათ. ამ მხრივ, მხოლოდ საქართველოში არ არსებობს განსხვავება. ია კუტალაძის თქმით, „ეს უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ საბავშვო ბაღებში პატარებთან არასწორად და არასაკმარისად მუშაობენ“.

ექსპერტების თქმით, მოსწავლეებში კითხვის უნარის განვითარების დონეს დიდწილად განაპირობებს: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, განათლების სფეროსთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების ოდენობა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა.

ირინა სამსონია, *ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი:* „გასათვალსაწინებელია, რომ კვლევა მეოთხეკლასელ მოსწავლეებში იმ დროს ჩატარდა, როცა განათლების ეროვნული სასწავლო გეგმა მე-4 კლასში ჯერ არ იყო შესული. სწორედ ახლა ვიწყებთ მის პილოტირებას ამ საფეხურზე. ეროვნული გეგმა ყველა კლასში, პირველიდან მეთორმეტეს ჩათვლით, კითხვაზე მუშაობასაც ითვალისწინებს, რაც წაკითხულის ანალიზს, ინფორმაციის ამოკრეფას, საკუთარ გამოცდილებასთან შეფარდებას და დისკუსიებს გულისხმობს. ეს გეგმა თანამედროვე მეთოდოლოგიითაა შედგენილი და ძველი მიდგომებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება“.

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სახელდება სკოლის მასწავლებლე-

ბის მომზადებაც. ქართველ მოსწავლეთა 99%-ს უნივერსიტეტის დიპლომის მქონე მასწავლებლები ასწავლიან. მიუხედავად მაღალი საგნობრივი კომპეტენციისა, მათი უმეტესობა კითხვის სწავლების მეთოდებს სათანადოდ არ ფლობს. მათ არც კითხვის სწავლების სპეციალური პროგრამა აქვთ გავლილი.

კვლევის თანახმად, საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი 32 ქვეყანას აქვს – ძირითადად, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტისა და ევროპის სახელმწიფოებს. პირველ ხუთეულშია: რუსეთის ფედერაცია, ჰონგ-კონგი, სინგაპური და კანადის ორი პროვინცია. აშშ და ინგლისი მე-14-15 ადგილზე არიან. პირველ ათეულში იტალია და შვედეთიც შედიან. ამ უკანასკნელს გერმანია მხოლოდ 1 პოზიციით ჩამორჩება. ოცეულშია პოსტ-საბჭოთა ლიტვა და ლატვია, ხოლო საფრანგეთი 27-ე ადგილზეა. წიგნიერების კვლევის ყველაზე უარესი შედეგი (302) სამხრეთ აფრიკას აქვს და ის რეიტინგის ბოლო ადგილას იმყოფება.

ქართველი ექსპერტების აზრით, ჰონგ-კონგის გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა. ხუთი წლის წინ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, მისი მაჩვენებელი საკმაოდ უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ამისა, 2006 წელს ის სიის სათავეში მოექცა. ია კუტალაძის თქმით, ჰონგ-კონგის მიერ მოკლე ვადაში მიღწეული წარმატება სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებისა და განათლების რეფორმის შედეგია: „იქ ზედმიწევნით გაითვალისწინეს კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და შედეგმაც არ დააყოვნა“.

განათლების ქართველი და უცხოელი ექსპერტების აზრით, რუსი მოსწავლეების წარმატებას მათი ასაკიც განაპირობებს. რუსეთის ფედერაციაში ტესტირებული მოზარდების საშუალო ასაკი 10,8 წელს შეადგენს, კანადაში კი გამოკითხული მოსწავლეების საშუალო ასაკი 9,9 წელია, საქართველოში – 10.0 წელი.

წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით კონკრეტული აქტივობები საქართველოშიც განხორციელდება. შემუშავებულია რეკომენდაციებიც.

- კითხვის სპეციალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაწყებითი კლასის მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების რეფორმირება;
- ტრენინგების და დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება;
- თანამედროვე სასწავლო პრაქტიკაში აპრობირებული ტექსტის განხილვისა და გააზრების მეთოდების დანერგვა;
- სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმირება;
- სასკოლო ბიბლიოთეკებისა და საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ხელშეწყობა;



- ოჯახის აქტიური ჩართვა და სკოლისა და ოჯახის კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სპეციალური პროექტები სოფლის სკოლებისათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის, სიკო ჯანაშიას ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წიგნიერების დონის ასამაღლებლად სპეციალურ ღონისძიებებს გეგმავს. შექმნილია საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ამ მიმართულებას კურირებას გაუწევს. სამინისტრო უკვე იწყებს მიზნობრივი პროგრამის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს მიზნობრივი ტრენინგებისათვის ვაუჩერები გადაეცემათ და კითხვის სწავლების მეთოდიკის გაცნობის საშუალება ექნებათ. სექტემბრიდან საბავშვო ბაღებში განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი კურიკულუმიც დაინერგება. იგეგმება ასევე კითხვის სწავლების მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება და მასწავლებლებისთვის ტრეინინგების ჩატარება.

თამარ ტალიაშვილი, *ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი:*
„კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ წაკითხულის შინაარსის გაგება და დასკვნების გამოტანა. ეს მეთოდიკის პრობლემაა – სწავლების მეთოდი უნდა შეიცვალოს. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია, როგორც განათლების სამინისტროში, ასევე ჩვენს უნივერსიტეტში. ჩვენთან სტუდენტები სპეციფიკურ ცოდნას იძენენ, რაც ბავშვებისათვის წერა-კითხვის სასწავლებლად არის აუცილებელი. განვითარებულ ქვეყნებში კითხვას ცალკე საგნად ასწავლიან. ჩვენ ამის საშუალება ჯერჯერობით არ გვაქვს. ამ ეტაპზე ქართულის მასწავლებლებს ვამზადებთ“.

ექსპერტები მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მომზადებული, კარგად ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ხელშეწყობის აუცილებლობაზეც საუბრობენ. წიგნიერების დაბალი მაჩვენებელის ერთ-ერთ მიზეზად ბიბლიოთეკების პრობლემაც სახელდება – სკოლები ხშირად ბავშვებს ახალი წიგნებით ვერ უზრუნველყოფენ. თუმცა განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის წიგნების გადაცემის პროცესი, რომელიც შარშან დაიწყო, წელსაც გაგრძელდება.

2009 წლის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთი კვლევის ჩატარებას გეგმავს, რომელიც ეროვნული გეგმის მიხედვით განხორციელებული სწავლების პირველ შედეგებს შეაფასებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის წიგნიერების საერთაშორისო კვლევაზე PIRLS (2006) იხილეთ გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი www.naec.ge



კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

საკვირველი ამბები –

„არიადნეს ძაფი“

ინტეგრირებული საგნები: ქართული ენა, მითოლოგია, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ).

სწავლების საფეხური და კლასი: I საფეხური, მე-3 კლასი

მასწავლებლები: ოლღა კალანდაძე, ნინო სიხარულიძე, ირინა კოჭლამაზაშვილი

მოსწავლეთა რაოდენობა: 21

გაკვეთილის სასწავლო მიზნები

(საგნების მიხედვით)

ქართული ენა

- ჯ. ქარჩხაძის მოთხრობა „არიადნეს ძაფის“ გაცნობა;
- ნაწარმოების პერსონაჟების შედარება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მათი საქციელის მიმართ;
- ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება; სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის, საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პარალელის გავლება შინაარსსა და პირად გამოცდილებას შორის;
- მხატვრული გამოთქმის, „არიადნეს ძაფის“ მნიშვნელობის გაგება;
- განსხვავების პოვნა მითსა და ლიტერატურულ ნაწარმოებს შორის.

მითოლოგია

- გაეცნობიან ბერძნულ მითს არიადნესა და თეზევსის შესახებ;
- შეძლებენ მითოლოგიური სიუჟეტების დანახვასა და ამოცნობას ხელოვნების ნიმუშებზე (ლარნაკების მოხატულობა, ქანდაკება).

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ინდიკატორები:

- მოსწავლე ისმენს ლიტერატურულ ტექსტებს, იგებს და გადმოსცემს მათ შინაარსს; ასახელებს ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს;
- ავლებს პარალელს ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად გამოცდილებას შორის;
- მარტივი გამოთქმებით (მომწონს/არ მომწონს, საინტერესოა/უინტერესოა, ვეთანხმები/არ ვეთანხმები, ერთგულია/მოღალატეა, მამაცია/მხდალია, და ა.შ) აფასებს ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათ საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრებების ახსნას (არ ვეთანხმები იმიტომ, რომ...საინტერესოა იმით, რომ... და ა.შ);
- მოსწავლე დამოუკიდებლად (ხმამაღლა/ჩუმად) კითხულობს და იგებს სხვადასხვა სახის ტექსტს მისთვის ნაცნობ თემებზე; ამოიცნობს და ასახელებს წაკითხული ტექსტის თემას;
- მოსწავლე დამოუკიდებლად ქმნის მცირე ზომის ტექსტს და გასაგებად აყალიბებს აზრს;
- აღწერს კონკრეტულ ფაქტს ან მოვლენას საკუთარი ცხოვრებიდან.

თანმიმდევრობა

(აქტივობა და დრო)

I გაკვეთილი

I ეტაპი: პროვოცირება (10 წთ)

ბავშვები დგებიან წრეში. ერთი მოსწავლე დგას შუაში. მას ხელში უჭირავს ძაფის გორგალის ერთი ბოლო. ბავშვები იღებენ მითითებას, დაასახელონ მითებისა და ზღაპრების პერსონაჟები და მასწავლებლის დახმარებით გორგალს ერთმანეთს გადასცემენ. შუაში მდგომი მოსწავლე აღმოჩნდება აბლაბუდაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: „მოიფიქრეთ, როგორ გამოვიდეს აბლაბუდაში გახვეული ბავშვი ისე, რომ არ გაწყვიტოს ძაფი“. ბავშვები გამოთქვამენ ვარაუდებს.

II ეტაპი: ასოციაციური რუკა (5 წთ)

მითოლოგიის მასწავლებელი მაგნიტურ დაფაზე ხატავს ასოციაციურ რუკას და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მითოლოგიური გმირები, კოპალა, ამირანი, პერსევსი, ჰერაკლე; მითოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს კიდევ ერთ მითიურ გმირს, თეზევსს.

III ეტაპი: გონებრივი იერიში (5 წთ)

ქართული ენის მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1. რომელი მითიდან გახსოვთ მეფე მინოსი? 2. რა ააშენა დედალოსმა და სად? 3. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ვინ ითვლება პირველ არქიტექტორად?

IV ეტაპი: კითხვა და ვარაუდების გამოთქმა (30 წთ)

ტექსტი წინასწარ დაყოფილია ნაწილებად. მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტის პირველი ნაწილი. ქართული ენის მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს:

„თქვენ დაგირიგდათ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის, „არიადნეს ძაფის“ პირველი ნაწილი. ამ მოთხრობას საფუძვლად დაედო ბერძნული მითი“.



მასწავლებელი იწყებს კითხვას, მოსწავლეები აყოლებენ თვალს. პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „...თეზევსს უყვარდა ურჩხულებთან ბრძოლა“, ქართული ენის მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1. რატომ იყო მეფე მინოსის სასახლე უცნაური? 2. რით იყო გამორჩეული მეფე მინოსის ლაბირინთი? 3. აღწერეთ მინოტავრი. 4. საიდან მოჰყავდა ადამიანები მეფე მინოსს? 5. რა შეუთვალა მინოსმა მეფე ეგეოსს? 6. დაახასიათეთ თეზევსი. 7. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? 8. რატომ ფიქრობთ ასე?

შესვენება (5წთ)

II გაკვეთილი

მითოლოგიის მასწავლებელი უამბობს ბავშვებს „ეგეოსის დარიგებას“. ბავშვებს ურიგდებათ ტექსტის მეორე ნაწილი, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „არა, ასეთ ვაჟკაცს მინოტავრს სწორედაც რომ ვერ დავანებებო“. ქართული ენის მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1. გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი? 2. რას შიშობდა თეზევსი? 3. ვინ იყო მინოსის ქალიშვილი? 4. რა გრძნობა დაეუფლა არიადნეს თეზევსის მიმართ? 5. რა გადაწყვიტა არიადნემ? 6. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? 7. რატომ ფიქრობთ ასე?

ბავშვებს ურიგდებათ ტექსტის მესამე ნაწილი: ტექსტის წაკითხვის შემდეგ ქართულის მასწავლებელი სხვამს კითხვებს: 1. გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი? 2. რა სიზმარი ნახა არიადნემ? 3. მოძებნეთ ტექსტში და ამოიკითხეთ, რა დარიგება მისცა არიადნემ თეზევსს? ვინ გაიმარჯვა ორთაბრძოლაში? 4. მოძებნეთ და ამომიკითხეთ ტექსტიდან თეზევსისა და მინოტავრის ბრძოლის ეპიზოდი. 5. როგორ დააღწია თავი თეზევსმა ლაბირინთს? 6. საით გაემგზავრნენ თეზევსი და არიადნე? მითოლოგიის მასწავლებელი უამბობს ბავშვებს, რატომ ვერ შეასრულა თეზევსმა მამის თხოვნა.

V ეტაპი: რეფლექსია (10წთ)

ქართულის მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1. რა ჰქვია რუბრიკას, სადაც მოთავსებულია თქვენს მიერ შესასწავლი ტექსტი? 2. თქვენი აზრით, რა არის ამ მოთხრობაში საკვირველი და დაუჯერებელი? 3. რისი სიმბოლოა მინოტავრი? 4. რა არის ბოროტების სიმბოლო ქართულ მითებში? მითოლოგიის მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას დღემდე შემორჩენილი მინოსის სასახლის ნანგრევების შესახებ და აჩვენებს შესაბამის სურათს.

მითოლოგიის მასწავლებელი აჩვენებს თანამედროვე ლაბირინთს, რომელსაც დღესდღეობით გასართობი დანიშნულება აქვს. ქართული ენის მასწავლებელი ტექსტიდან კითხულობს ბოლო აბზაცს და სვამს კითხვას: „რა მნიშვნელობა შეიძინა გამოთქმამ „არიადნეს ძაფი?“

VI ეტაპი: ჯგუფებში მუშაობა (12 წთ)

წინასწარ მომზადებული, დანომრილი ფურცლების დარიგების შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად. ბავშვებს ურიგდებათ ფურცელზე დაბეჭდილი სახალისო სავარჯიშო ლაბირინთი და ეძლევათ დავალება, ფერადი ფანქრის საშუალებით გამოვიდნენ ლაბირინთის ცენტრიდან. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ ეწყობა ნამუშევრების პრეზენტაცია.

ქართული ენის მასწავლებელი სვამს კითხვას: „რას გაგონებთ ლაბირინთში თქვენს მიერ გავლებული ხაზები?“

VII ეტაპი: წერა (12წთ)

ბავშვებს ურიგდებათ ფურცლები. ქართული ენის მასწავლებელი აძლევს დავალებას: „გაიხსენეთ, გქონიათ თუ არა გამოუვალი სიტუაცია და როგორ გიპოვიათ გამოსავალი?“ წერითი სამუშაოს დამთავრების შემდეგ ეწყობა ნამუშევრების პრეზენტაცია.



VIII ეტაპი: საშინაო დავალება (3წთ)

მითოლოგიის მასწავლებელი სვამს კითხვას: „გაინტერესებთ, იქორწინეს თუ არა თეზევსმა და არიადნემ?“ ამის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნში „მითოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც არის ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკაში“.

IX. შეფასება (3წთ)

ფასდება შემდეგი უნარები: გაკვეთილში ჩართულობა, ჯგუფური მუშაობა, ვარაუდების გამოთქმა, წერითი ნამუშევრების პრეზენტაცია, არასტანდარტული პასუხები, შეფასების რუბრიკა. შეფასებისათვის პირობითი ნიშნებია: წითელი წრე – სუსტია, საჭიროებს დახმარებას; ყვითელი წრე – დამაკმაყოფილებელია; მწვანე წრე – კარგია.

საკლასო მენეჯმენტი

საგანმანათლებლო რესურსები: მაგნიტური დაფა, მარკერი, ფერადი ფანქრები, ძაფის გორგალი, პროექტორი, კომპიუტერი.

ლიტერატურა: ნ. გორდელაძე, თ. კუხიანიძე „ქართული ენა, მე-3 კლასი“ (მოსწავლის წიგნი), გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“, 2008 წ. და „ბერძნული მითები“, გ. ქარჩხაძის გამომცემლობა, 2004 წ.

გამოყენებული ვებ-გვერდები: maiaragouveia.blogspot.com; phisalia.blogspot.com; pbase.com; panoramio.com; google.com

(გაკვეთილის სრული ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე: www.net.lemill.edu.)



სკოლის მასწავლებლების შეფასების ინდიკატორები

თბილისის 136-ე საჯარო სკოლა

(იბეჭდება 136-ე საჯარო სკოლის დირექტორის, ელზა ბადაშვილის თანხმობით)

მასწავლებლის შეფასების ფორმა

მასწავლებელი _____ სწავლების საფეხური/საგანი _____

		1	2	3	4
		არადამაკმა-ყოფილებელი	დამაკმაყო-ფილებელი	კარგი	ძალიან კარგი
I.	**მართვა** (პედაგოგი ეფექტურად მართავს სასწავლო პროცესს), **შედეგები** (პედაგოგი ითვალისწინებს მიღებულ შედეგს)				
II.	სწავლების მეთოდების გამოყენება				
III.	პროფესიული პასუხისმგებლობა				
	საბოლოო შეფასება				

კომენტარები:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

I.	**მართვა, შედეგები, სასწავლო მეთოდები**	1	2	3	4
	I.1 – მასწავლებელი ყოველდღიურად შეიმუშავებს საგაკვეთილო გეგმებს, სასწავლო მიზნების უზრუნველსაყოფად				
	I.2 – მასწავლებელი ეფექტურად ანაწილებს საგაკვეთილო დროს				
	I.3 – მასწავლებელი სისტემატურად აწარმოებს შიდასასკოლო სტანდარტების კვლევის რვეულს				
	I.4 – მოსწავლე მასწავლებლის მიერ ინფორმირებულია გაკვეთილის მიზნებზე და ცოდნის შეფასების კრიტერიუმზე				
	I.5 – მასწავლებელი იყენებს შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებს				
	I.6 – მასწავლებელი სისტემატურად აწარმოებს მოსწავლეთა შეფასებებს				
	I.7 – მასწავლებელი უქმნის მოსწავლეს უსაფრთხო სასწავლო გარემოს, აკონტროლებს მათ არადამაკმაყოფილებელ ყოფაქცევას				
	I.8 – მასწავლებელი გასაგებად და გამართულად გადმოსცემს მასალას და გაკვეთილზე მუშაობის პროცესში იყენებს სასწავლო რესურსებს				

		1	2	3	4
	I.9 – მოსწავლებელი გეგმავს და ახორციელებს პროექტებს, მონაწილეობს სასკოლო და სკოლის გარეთ გამართულ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში				
	I.10 –მოსწავლეების ჩართულობის მიზნით, მასწავლებელი სასწავლო პროცესში იყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და აქტივობებს, რომელიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ამოცანებს				
	I.11 – მასწავლებელი ატარებს საჩვენებელ გაკვეთილებს და იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს				
	I.12 –მასწავლებელი გეგმავს და ატარებს საგნობრივ-შემეცნებით და სხვა ღონისძიებებს				
	I.13 –მასწავლებელი ქმნის სასწავლო რესურსებს				
	I.14 –მასწავლებელი მოტივირებულია და ხშირად გამოდის ინიციატივებით				
	I.15 –მასწავლეებლი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით აწყობს პრეზენტაციებს				
	I.16 –მასწავლებელი ყოველი ტრიმესტრის ბოლოს აკეთებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების კვლევას (ანგარიში)				
	I.17 –მასწავლებელს მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ცვლილებები შეაქვს სწავლების მეთოდებში და ადგენს ინდივიდუალურ პროგრამებს				
	I.18 –მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეს წარმატების მიღწევაში და მზადაა დამატებითი დახმარების გასაწევად				
II.	**პროფესიული პასუხისმგებლობა**				
	II.1 – ხარისხიანად აწარმოებს და დროულად აბარებს სასკოლო დოკუმენტაციას				
	II.2 – მასწავლებელი არის კომუნიკაბელური და კონსტრუქციული				
	II.3 – ისწრაფვის პროფესიული ზრდისა და განვითარებისაკენ				
	II.4 – მასწავლებელი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს				
	II.5 – მასწავლებელი მხოლოდ საპატიო მიზეზებით აცდენს გაკვეთილებს				
	II.6 – მასწავლებელი პასუხისმგებლობით ეკიდება სკოლის შენობას, ქონებასა და აღჭურვილობას				
	II.7 – მასწავლებელი თანამშრომლობს თითოეული მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, სკოლასა და ოჯახს შორის წარმატებული კავშირის დასამყარებლად				
	II.8 – მასწავლებელი პატივისცემით ეპყრობა თითეულ მოსწავლეს, არ აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურ ტრავმას				
	II.9 – მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს ყველა მოსწავლის მიმართ, არ გამოაქვს ნაჩქარავი დასკვნები, ისმენს და ითვალისწინებს მოსწავლეთა და სხვათა აზრს.				
	II.10 – მასწავლებელი კლასის ხელმძღვანელს, შემდეგ კი მშობელს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის დროს დაფიქსირებულ პრობლემებსა და მიღწევებზე				
III.	**დამატებითი ბონუსი დამრიგებელთათვის**				
	III.1 –დამრიგებელს აქვს სადამრიგებლო პროგრამა				
	III.2 –დამრიგებელს აქვს ტრიმესტრის და წლიური ანგარიშები				
	III.3 –სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელი ინდივიდუალურად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა დისციპლინისა და აკადემიური მოსწრების შესახებ				
	III.4 –დამრიგებელი თანამშრომლობს საგნების პედაგოგებთან				
	III.5 –ატარებს სააღმზრდელო ღონისძიებებს				
IV.	**დამატებითი ბონუსი კათედრის ხელმძღვანელებისათვის**				
	IV.1 –აქვს კათედრის მუშაობის წლიური გეგმა				
	IV.2 –შეიმუშავებს ყოველთვიურ გეგმებს				
	IV.3 –აქვს ტრიმესტრული და წლიური კათედრის ანგარიშები				
	IV.4 –გეგმავს და ატარებს კათედრის ღონისძიებებს				
	IV.5 –კათედრის ხელმძღვანელი მოტივირებულია და ხშირად გამოდის ინიციატივებით				

ქულების მაქსიმალური რაოდენობა საგნის მასწავლებლისათვის: 112
ქულების მაქსიმალური რაოდენობა დამრიგებელთათვის: 132
ქულების მაქსიმალური რაოდენობა კათედრის ხელმძღვანელთათვის: 132

სახალისო დავალებები მოსწავლეებისათვის

მოგვაწოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მარინე უკლებამ (ქუთაისი)

ფერვორდი

ფერვორდი შეივსება „დიდოსტატის მარჯვენაში“ გამოყენებული ფერებით ისე, რომ მუქ სვეტში მივიღებთ რომანის სახელწოდებას.



1. რა ფერის ცის ქვეშ მღეროდა არსაკიძე „კაი ყმას?“ 2. ჭიაბერის დასაფლავებაზე როგორი თორით გამოირჩეოდა შორენას ძუძუმტე? 3. გლახუნა ავშანისძის მიერ საფურცლეში მოკლული წეროს ფრთების ფერი. 4. რა ფერის თვალებს აფაფხულებდა გამგეთუხუცესი არსაკიძესთან შეხვედრისას? 5. „დილით... იგი“ (სვეტიცხოველი) 6. რა ფერის იყო ცა, როცა მამამზეს ჩაეძინა მცხეთაში? 7. როგორი კულულები გადმოიღვარა ჭიაბერის მაღალ შუბლზე? 8. რა ფერის თვალები ჰქონდა არსაკიძის მიერ გაწვრთნილ მიმინოს? 9. მესაწოლე ბერი რა ფერის თვალებით შესცქეროდა მამამზე ერისთავს 10. „დეზი ჰკრა თავის ულაყს გიორგიმ, არნივის ფრთებზე გამართული ქეიბურები გვერდში ჰკრა... დათვს.“ 11. რა ფერის იყო ნებიერა? 12. „მოდის, მოარღვევს თავთუხების ზღვას, თოვლივით თეთრი აცვია სამოსი... საწმერთული ზედ.“ (არსაკიძის სიზმარი) 13. ნებიერას თვალის ფერი. 14. წლების მანძილზე ამბორყოფისაგან რა ფერის გახდა ძელისცხოველი? 15. რა ფერის მიმინოები ეჭირათ გიორგის და გირშელს ბავლის დროს? 16. რა ფერის იყო საწმერთული, რომლის მცხეთაში ჩამოტანასაც შეეწირა გირშელი და ორი ათასი მონა-სპა? 17. ოვსთა თავადის, თუზარაის ულაყის ფერი. 18. რომანში პირველად ნახსენები ფერი.

ფერვორდი 1. ბალდაფიანური 2. ყიფაბიანური 3. ალუმაჯიანური 4. ლომიანიანური 5. ხეალიანური 6. ბმულიანური 7. თავთუხიანური 8. ფეხმეჯიანური 9. ცისფერიანური 10. ჩალიანური 11. ლომიანური 12. სოსანიანური 13. ვირთხიანური 14. თეჯიანური 15. ჯიგრიანური 16. ხიბლიჩიანური 17. ყოფნიანური 18. ქლიავიანური

სამოქალაქო განათლებისთვის

„სამოქალაქო საზოგადოება იქმნება კერძო პირთა ავტონომიურობის საფუძველზე“, – ამ სიტყვების ავტორი 20 წლის წინ საზოგადოების დიდ ნაწილში განსაკუთრებული პოპულარობით არ სარგებლობდა. ეროვნული მოძრაობის აღმასვლის და საერთო ეიფორიის ფონზე, ის პრობლემებსა და რისკებზე აკეთებდა აქცენტს, რაც ეროვნული სულისკვეთებით გაერთიანებული ადამიანებისთვის გაუგებარი იყო.

პაატა სირბილაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, პროექტების კოორდინატორი

მართლაც, თითქოს უადგილოა საუბარი პიროვნების ავტონომიურობაზე, როდესაც ერი აცნობიერებს, რომ აუცილებელია, აქ და ახლა ერთად დგომა. „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნება თავისთავად არაფერს გეუბნება და არც იმაზე მიგანიშნებს, რაც ცნობილი, გათავისებული და მნიშვნელოვანია. ის იმ განსაკუთრებული ენერგეტიკისა და ხიბლის მატარებელ სიტყვათშეთანხმებათა რიცხვსაც არ განეკუთვნება, პოპულარულ სლოგანში ლამაზად რომ მოთავსდება ხოლმე.

ამიტომ შეიძლება არც იყოს გასაკვირი, რომ ქართველი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი, რომელიც ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ხშირად ატარებდა ლექციებს, ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას (მას მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიცია ჰქონდა და პოლიტიკური განცხადებების გაკეთებასაც არ ერიდებოდა), არ იყო პოპულარული იმ დროს, როდესაც საზოგადოება აცნობიერებდა, რომ უდიდესი ცვლილებების წინაშე, ერთგვარ გზაგასაყართან იმყოფებოდა.

რა შეიძლება ვთქვათ ოცწლიანი გადმოსახედიდან? პირველ რიგში, ის, რომ, ეს გადმოსახედი არცთუ დიდ სიმაღლეზეა, ხოლო ჩვენ არც იმდენად დავშორდით გზაგასაყარს, მოვლენების ობიექტური ანალიზი რომ შევძლოთ. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ქართველმა ხალხმა მთავარი არჩევანი გააკეთა, მოხერხდა შეთანხმება ძირითად ღირებულებებსა და განვითარების ვექტორზე – საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც განათლებული, პატრიოტი, კანონმორჩილი, საკუთარი უფლება-მოვალეობების მცოდნე და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები იცხოვრებენ.

ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება სამოქალაქო საზოგადოების გარეშე, რაც ითვალისწინებს მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების გაერთიანებას საზოგადოების განვითარებისა და მართვის უკეთესი საშუალებების შესაქმნელად. ამ შემთხვევაში, ერთობა ნებაყოფ-

ლობითია, მისი სიმტკიცე ურთიერთ-ნდობის ფაქტორზეა დამოკიდებული და იგულისხმება, რომ გაერთიანების მოტივი ყველა მხარეს აქვს გააზრებული. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის თავისუფლებას და კერძო ინიციატივას ემყარება, რაც საშუალებას აძლევს მას სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში, გადაწყვეტილებების მიღებისას ხალხის უშუალო მონაწილეობის შესაძლებლობას ქმნის და მმართველობას აიოლებს. ერთი მიზნისთვის გაერთიანება ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან ურთიერთრეგულირებასაც გულისხმობს. როგორ უნდა მივაღწიოთ, რომ ასეთი გაერთიანება შედგეს? მისი მონაწილეები (ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი) ხომ ყველზე უფრო მრავალრიცხოვანი დაინტერესებული მხარის (მოქალაქეების, საზოგადოების) განუყოფელ ნაწილს შეადგენენ? სწორედ ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი თითოეული ადამიანის აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა რთული და მრავლისმომცველი პროცესია. დღეს ამის სურვილი ნამდვილად ჩანს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება იცნობდეს ადამიანის უფლებებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს და მათ ურთიერთქმედებას. თუმცა, მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი – მოქალაქეებმა უნდა შეიძინონ სათანადო უნარები, რათა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა შეძლონ.

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2007-2008 წლებში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფში სამოქალაქო განათლება ცალკე საგნად ისწავლება. მე-9 და მე-10 კლასებში ეს საგანი აუცილებელ საგანთა ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო მე-11 და მე-12 კლასებში არჩევითია. 2008 წელს დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში შედის საგნობრივი სტანდარტი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის. საბაზო ან/და საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევების გარდა, სტანდარტით განსაზღვრულია კომპეტენციები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები, მოქალაქეობა და მისი ასპექტები, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები, ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები. ამ არასრული ჩამონათვალიდანაც ცხადია, რომ სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება არ არის მარტივი ამოცანა იმ მასწავლებლებისათვის, რომლებსაც შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლება არ მიუღიათ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამოქალაქო განათლების ცალკე საგნად ჩართვას წინ უძღოდა პილოტირების პროცესი, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ მხოლოდ სკოლების 13%-ში ხორციელდება საზოგადოებრივი მეცნიერებების ერთიანი პროგრამით სწავლება ერთი მასწავლებლის მიერ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სფეროში მოსწავლეთა ცოდნის დონის ზრდაზე სამოქალაქო განათლების ცალკე საგნად სწავლის გავლენა თვალსაჩინოა.

დღეისათვის სამოქალაქო განათლების მასწავლებლების დიდი ნაწილი რომელიმე სხვა საგანსაც ასწავლის. ყველაზე ხშირად სამოქალაქო

განათლების კურსს ისტორიის მასწავლებლები ითავსებენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე აქვთ დამხმარე სახელმძღვანელოები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული განვითარების პრაქტიკის დამკვიდრებას, რომელიც 3000-ზე მეტ პედაგოგს საშუალებას მისცემს, გაიღრმავოს ცოდნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. 2009 წლიდან დაიწყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც პედაგოგებს აკრედიტებული ტრენინგ-კურსების გავლა დაუფინანსდებათ. მათ განხორციელებას ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, რომლებიც წლების მანძილზე ამზადებდნენ და ხვეწდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებს. აკრედიტაციის გზით სწორედ მათი ხარისხი შემოწმდება და მასწავლებლებს სასურველი ტრენინგების გავლის საშუალება მიეცემათ, როგორც ზოგადად პროფესიულ უნარებში, ასევე საგნის მეთოდიკაში. თუ ეს არ იქნება საკმარისი და ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების უფრო მეტი მსურველი აღმოჩნდება, აუცილებელი გახდება სპეციალურად მომზადებული მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

არც ისე შორეულ წარსულში ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები სახალხო უნივერსიტეტებს აარსებდნენ, რათა საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ სამეცნიერო თუ სხვა სახის მიღწევების შესახებ. დღეისათვის საზოგადოების ინფორმირების უფრო მასშტაბური და ეფექტური საშუალებებიც არსებობს, თუმცა განუზომელია სკოლების როლი, რადგან საკუთარი და სხვისი უფლებების მცოდნე, პასუხისმგებელი მოქალაქეების ჩამოყალიბება სწორედ ადრეული ასაკიდან უნდა იწყებოდეს.

სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, შესაბამისი საკითხებისა და მათი სწავლების გზების სიღრმისეული ცოდნის გარდა, რეალურად უნდა აცნობიერებდნენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. სწორედ მათ უნდა მისცენ მოსწავლეებს სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში უშუალოდ მონაწილეობის მაგალითი. ისინი უნდა იცავდნენ საკუთარ და სხვის უფლებებს, არ უნდა ხუჭავდნენ თვალს საზოგადოებრივ პრობლემებზე, უნდა ინარჩუნებდნენ ავტონომიურობას და საერთო საკითხების გადაჭრისას მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ კოლეგებთან, მოსწავლეებთან და სხვა მოქალაქეებთან. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ხომ, ერთი მხრივ, თითოეული მოქალაქის ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და მეორე მხრივ, მათი მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზეა შესაძლებელი.

როცა გაკვეთილზე დამსწრეა

გაკვეთილზე დამსწრეა – ეს ორი სიტყვა ხშირად შიშისმომგვრელად ჟღერს. ამ განცდასთან გამკლავება ყველა მასწავლებელს, პროფესიული საქმიანობისას, ერთხელ მაინც უწევს. როგორ გადავლახოთ შიში? – ამ კითხვას ყველაზე უკეთ თავად მასწავლებლები პასუხობენ. მათთვის ორივე განცდა ნაცნობია: რას გრძნობ, როდესაც გაკვირდებიან და როცა თავად გიწევს დამკვირვებლისა და შემფასებლის როლში ყოფნა. პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებისგან – როგორ მოვიქცეთ, როცა...

თქვენს გაკვეთილს დამკვირვებელი ესწრება

1. ჩაიცვით კომფორტულად – შეარჩიეთ მოსახერხებელი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. ზუსტად ისე უნდა გამოიყურებოდეთ, როგორიც ხართ სინამდვილეში. თქვენ ხომ სწორედ ამის ჩვენება გსურთ.

2. ეს გაკვეთილი ერთ-ერთ მორიგ გაკვეთილად ჩათვალეთ. დამკვირვებლის დასწრება თქვენი პროფესიონალიზმის წარმოჩენის კარგი შესაძლებლობაა, თუმცა ამის გამო გაკვეთილის ჩატარების ჩვეულ სტილს ნუ შეცვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს კომფორტულად ვერც თქვენ იგრძნობთ და ვერც მოსწავლეები.

3. კიდევ ერთხელ, კარგად გაიაზრეთ გაკვეთილის გეგმა და გააცანით კოლეგას ან მეგობარს, მოისმინეთ განსხვავებული აზრი. გეგმით გათვალისწინებული მეთოდები და სტრატეგია შეგიძლიათ სხვა გაკვეთილზე გამოსცადოთ.

4. გაკვეთილის მიზნები მოსწავლეებს ნათლად, მათთვის გასაგებ ენაზე განუმარტეთ და ბოლოს დაინტერესდით, რა გაიგეს გაკვეთილის შედეგად.

5. წინასწარ გაეცანით გაკვეთილის შეფასების სტანდარტს, რომელსაც სკოლაში იყენებენ. უმჯობესია, წინასწარ იცოდეთ, რა საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას დამსწრე.



6. კარგად გაიაზრეთ, რა შედეგის მიღწევა გსურთ გაკვეთილით – რას ისწავლიან თქვენი მოსწავლეები და რა ამოცანების გადაჭრას შეძლებენ გაკვეთილის დასასრულს. წინასწარ განსაზღვრეთ, როგორ შეიტყობთ, ისწავლეს თუ არა რაიმე მოსწავლეებმა თქვენი გაკვეთილის შედეგად.

7. გახსოვდეთ, კარგია რომ თქვენს გაკვეთილს ესწრებიან, რადგან არცთუ ხშირად გაქვთ შესაძლებლობა, მოისმინოთ განსხვავებული აზრი სწავლების თქვენეული მეთოდების შესახებ.

8. გახსოვდეთ, რომ მიუხედავად განსხვავებული გონებრივი შესაძლებლობებისა, გაკვეთილის დასასრულს უკლებლივ ყველა მოსწავლემ რაიმე ახალი უნდა იცოდეს.

თქვენ ხართ დამკვირვებელი

1. ნუ დააგვიანებთ. ძალიან გაგიჭირდებათ გაკვეთილის სრულყოფილად აღქმა თუ მის დასაწყისს გამოტოვებთ. არ გახვიდეთ საკლასო ოთახიდან დროზე ადრე, დარჩით გაკვეთილის დასასრულამდე.

2. გაკვეთილის დაწყებამდე ზუსტად განსაზღვრეთ, რა არის გაკვეთილზე დასწრების მთავარი მიზანი: მასწავლებლის შეფასება, მისი დახმარება, თუ პროფესიული ზრდის ხელშეწყობა.

3. ეცადეთ, რომ მასწავლებელმა, რომლის გაკვეთილსაც ესწრებით, თავი მშვიდად იგრძნოს. ამაში მას თქვენი ღიმილი დაეხმარება. ის თავს უკეთ გაართმევს საქმეს, თუ თქვენს კეთილგანწყობაში დარწმუნებული იქნება.

4. შეარჩიეთ შესაფერისი მომენტი და გაესაუბრეთ მოსწავლეებს. დააზუსტეთ, იციან თუ არა მათ, რაზე მუშაობენ და როგორ მიაღწიონ პროგრესს, მოსწონთ თუ არა გაკვეთილები. გადახედეთ შესრულებულ დავალებებს და დააკვირდით, რამდენად ხშირად აფასებს მასწავლებელი მათ ნაშრომებს.

5. როდესაც მართლაც კარგ პედაგოგს აკვირდებით, ნუ ეცდებით აუცილებლად იპოვოთ რაიმე ხარვეზი მის პროფესიულ საქმიანობაში. გაკვეთილების შემდეგ მასწავლებელს გაესაუბრეთ და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცით.

6. არასოდეს ჩაერიოთ გაკვეთილის მსვლელობაში. ნუ ჩაიგდებთ ინიციატივას ხელში, არ შეუსწოროთ მასწავლებელს შეცდომები – ეს შეიძლება მოგვიანებით, უფრო ტაქტიანადაც გააკეთოთ.

7. გაკვეთილის შემდეგ აუცილებლად გაესაუბრეთ მასწავლებელს. გაკვეთილის დაწყებამდე მასთან შეათანხმეთ, როდის გაუზიარებთ თქვენს მოსაზრებებსა და შეფასებას. უმჯობესია, წინასწარ იცოდეს, რამდენი დრო აქვს – ნახევარი საათი თუ ერთი დღე – ჩატარებული გაკვეთილის გასაანალიზებლად და ადეკვატური კომენტარების მოსამზადებლად.

8. თქვენი შეფასება დაიწყეთ პოზიტივით, თუმცა არ მოერიდოთ კრიტიკას. საკუთარი შენიშვნები მასწავლებელს ტაქტიანად და გულახდილად გააცანით. მოსწავლეები მაღალი სტანდარტების შესაბამის განათლებას იმსახურებენ.



სიკო ჯანაშია

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეაფასების ცენტრის დირექტორი

თუ მოსწავლე დადებით მაგალითს ხედავს სკოლასა და სახლში, მას უფრო ხშირად უჩნდება წიგნების კითხვის სურვილი. თუ მშობლებს კითხვა უყვართ, მათი შვილებიც ბევრს კითხულობენ.

რას კითხულობენ მასწავლებლები?

კითხვის ჩვევა, ისევე, როგორც ამ პროცესით სიამოვნების მიღების უნარი, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია მოსწავლისა და სკოლადამთავრებულის წარმატებისთვის. საერთაშორისო კვლევამ *(PIRLS 2006)*, რომელიც ჩვენთანაც ჩატარდა, აჩვენა, რომ ქართველი მოსწავლეები მრავალი ქვეყნის თანატოლებს ჩამორჩებიან კითხვის უნარით. მოზარდებში ამ კომპეტენციების განვითარებისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს თავად უყვარდეთ კითხვა და ბევრს კითხულობდნენ.

ის, თუ რამდენად ნაყოფიერად ასწავლის მასწავლებელი მოზარდებს კითხვას, განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: რამდენად იცის მან კარგად კითხვა, როგორ ასწავლოს ამას მოსწავლეს, რას და რამდენად კითხულობს საკუთარი პროფესიული ზრდისთვის, ან პირადი სიამოვნებისთვის.

ამ კვლევის თანახმად, წიგნების კითხვის მხრივ, საქართველო მე-40 ადგილზეა, ამერიკის შეერთებული შტატები კი მე-14-ზე. შედეგებით აშშ ისეთ ქვეყნებს უსწრებს, როგორიცაა: გერმანია, შვედეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ. ამერიკის ერთ-ერთ შტატში, ტეხასში, ქალაქ ჰიუსტონში ათი წლის წინ ჩატარებული ტესტირებისას აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა 50%-ზე მეტმა კითხვის ნაწილს თავი ვერ გაართვა. ასეთი ტესტირება ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ ჩატარებულა. თუმცა რამდენიმე წლის წინ გაირკვა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართულის მასწავლებლების ნახევარზე მეტი ვერ პასუხობდა ქართულად კითხვის იმ მოთხოვნებს, რაც მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ. მასწავლებლები კითხვის სტრატეგიებს უნდა ფლობდნენ, პრაქტიკულად იყენებდნენ და საკუთარ მოსწავლეებს აცნობდნენ. თუ პედაგოგმა სწრაფი კითხვის სტრატეგია არ იცის, ან არ იყენებს მას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსწავლეები ამ ტექნიკას დაეუფლებიან.

საქართველოში ხშირად მოისმენ, რომ კითხვის სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის საქმეა. კითხვის კომპეტენციების განმავითარებელი დავალებებიც, ძირითადად, ამ საგნის ფარგლებში გვხვდება. თუმცა, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეებს სხვა საგნებშიც მრავლად აქვთ დავალებები, რომლებიც კითხვის სხვადასხვა სტრატეგიისა თუ ტექნიკის დაუფლებას მოითხოვს. აქ მხოლოდ ჰუმანიტარული საგნები არ იგულისხმება. კითხვასა და ტექსტის ანალიზთან დაკავშირებული დავალებები, ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების გარდა, სხვა სასკოლო წიგნებშიც გვხვდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ისინი მხოლოდ მხატ-

ვრული ნაწარმოებების შინაარსის გაგებას არ უკავშირდება. ასეთი ტექსტები კითხვის სპეციფიკურ უნარებს მოითხოვს, რასაც მათი სწავლების შესაბამისი მეთოდიკაც სჭირდება, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა უფრო იციან, ვიდრე ისტორიისა თუ ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა. რაც შეეხება ქართულის მასწავლებლებს, მათაც სჭირდებათ ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების ათვისება, რათა კითხვის სწავლება უახლეს მიდგომებს ეფუძნებოდეს.

წარმოვიდგინოთ ორი მასწავლებელი. ერთი ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს კითხვის მნიშვნელობაზე, ასევე, გამუდმებით წუხს, რომ ახალი თაობა უფრო მეტად გართობაზეა ორიენტირებული, ტელევიზიისა და ინტერნეტის მიღმა ვერაფერს ხედავს. ის ცდილობს, მოსწავლეებს საკითხავი მასალის შესახებ შეკითხვები დაუსვას, სხვადასხვა ტიპის დავალებებით მათ ტექსტის ანალიზის უნარი განუვითაროს. მასწავლებელი დაკვირვებით კითხულობს სახელმძღვანელოებს, მათში მოთავსებულ ტექსტებს ზედმიწევნით სწავლობს და პროფესიულ ლიტერატურასაც ეცნობა. მას ნაკლები დრო რჩება იმისთვის, რომ საკუთარი სიამოვნებისთვის იკითხოს. არც საკმარისი ფინანსები აქვს ახალი გამოცემების შესაძენად. ამიტომ ძირითადად იმ პროფესიულ ლიტერატურას კითხულობს, რომელიც მის სკოლაშია.

მეორე მასწავლებელი ასევე ორიენტირებულია მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებაზე. ისიც აცნობიერებს, რომ მოზარდები ბევრ დროს ატარებენ ტელევიზორთან და ინტერნეტში. ის მათ ხშირად აძლევს დავალებას, რომელიც ტექსტების ანალიზს გულისხმობს, აგრეთვე შინაარსის ცოდნასაც ყურადღებას აქცევს. ეს მასწავლებელი იმ პროფესიულ ლიტერატურას ეცნობა, რომელიც სკოლაშია, მაგრამ ხშირად დადის ბიბლიოთეკაში და უახლეს მხატვრულ ლიტერატურასაც სიამოვნებით კითხულობს. გარდა ამისა, იმ საბავშვო ლიტერატურითაც ინტერესდება, რომელიც საქართველოში იწერება ან ითარგმნება. მასწავლებლის ინიციატივით, კლასმა საკუთარი ბიბლიოთეკაც გააკეთა, რომლისთვისაც ყველა მოსწავლემ თითო წიგნი მოიტანა. კლასში უკვე 25 წიგნია. პარასკევობით ისინი თითო წიგნს ირჩევენ და შაბათ-კვირას კითხულობენ, ორშაბათობით კი საკუთარ შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებენ. პედაგოგი ხშირად ატყობინებს მოსწავლეებს ახალი გამოცემების შესახებ. მოსწავლეების დიდი ნაწილი სიამოვნებით კითხულობს.

მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ თუ მოსწავლე დადებით მაგალითს ხედავს სკოლასა და სახლში, მას უფრო ხშირად უჩნდება წიგნების კითხვის სურვილი. თუ მშობლებს კითხვა უყვართ, მათი შვილებიც ბევრს კითხულობენ. მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეს კითხვას ასწავლის და მისგან მიღებული სიამოვნების შესახებ ესაუბრება, შესაძლოა თვითონ გახდეს მისაბაძი მაგალითი. რაც არ უნდა კარგად ფლობდეს პედაგოგი კითხვის სწავლების მეთოდიკას, მოზარდი მაინც მას დაუჯერებს, ვინც პირადი მაგალითით აჩვენებს, თუ რამდენად საინტერესო და სასიამოვნოა კითხვა. ძნელია მოსწავლეს აუხსნა, რატომ მიიღებს ის სიამოვნებას წიგნის კითხვით, თუ ვერ დაინახავს, რომ სხვები ამას ახერხებენ. სწორედ ამიტომ უნდა კითხულობდეს ხშირად მასწავლებელი და ეს ცნობილი იყოს მოსწავლეებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ისეთ საკითხავს სთავაზობდეს მოსწავლეს, რაც მისი ასაკისთვის იქნება შესაფერისი. თაობებს შორის განსხვავება სულ უფრო იზრდება და პედაგოგებს უჭირთ იმის გარკვევა, თუ რა აინტერესებთ მოსწავლეებს. მათთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე პოპულარული კულტურა, კომპიუტერული თამაშები, ის სამყარო, რომელსაც ინტერნეტთან ურთიერთობისას ეცნობიან. მოსწავლეებისთვის ჩვეული ტერმინოლოგიაც კი, შესაძლოა, მასწავლებლებისათვის სრულიად უცხო იყოს. ადრეულ ასაკში ბავშვები ხშირად საუბრობენ იმ მულტფილმებზე, რომლებიც უფროსებს არასოდეს უნახავთ. ისინი კინოფილმებიდან იცნობენ ელფებისა და გოლიათების სამყაროს, მაშინ როდესაც პედაგოგებისთვის ეს სამყარო უცნობია. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით რთულია მოსწავლეებისთვის საინტერესო ლიტერატურის



ძნელია მოსწავლეს აუხსნა, რატომ მიიღებს ის სიამოვნებას წიგნის კითხვით, თუ ვერ დაინახავს, რომ სხვები ამას ახერხებენ. სწორედ ამიტომ უნდა კითხულობდეს ხშირად მასწავლებელი და ეს ცნობილი იყოს მოსწავლეებისთვის.

შერჩევა. სწორედ ამიტომ არის სწორი მეორე მასწავლებლის სტრატეგია. ის მხოლოდ თავისთვის საინტერესო ნაწარმოებებს კი არ ეცნობა, არამედ იმასაც კითხულობს, რაც ქართულ საგამომცემლო ბაზარზე არსებობს. სწორედ ამიტომ შეუძლია მას, დააინტერესოს ბავშვი, რათა მან მეტი იკითხოს.

ამ სტატიისათვის ქართულის მასწავლებლების სატელეფონო გამოკითხვა ჩავატარეთ, იმის გასარკვევად, თუ რას კითხულობენ ისინი. მათი უმეტესობა ამბობს, რომ მხატვრულ ლიტერატურას ხშირად კითხულობს. ისიც საინტერესოა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას იმის კითხვა უყვარს, რაც სკოლაში ან უნივერსიტეტში აქვს ნასწავლი. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ საკუთარი სიამოვნებისთვის ხელახლა გადაიკითხა საყვარელი ნაწარმოებები და მწერლები. მხოლოდ მცირე ნაწილი თუ კითხულობს თანამედროვე ქართველ და უცხოელ ავტორებს. პრობლემამ, რომელიც მასწავლებლების ნაკითხობას ეხება, მაშინაც იჩინა თავი, როდესაც ახალი სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახალი სახელმძღვანელოები გამოჩნდა საქართველოს ბაზარზე. ქართულის სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი მასწავლებლებისთვის უცნობ ტექსტებს შეიცავს. ერთ-ერთ შეხვედრაზე ქართულის მასწავლებელი აღნიშნავდა, რომ მას ისეთი ნაწარმოების სწავლება უწევდა, რომელიც თვითონ არ ჰქონდა ნასწავლი და რაც კიდევ უფრო სავალალოა – წაკითხულიც კი. ის გულწრფელად აღიარებდა, რომ საკუთარ მოსწავლეებთან ერთად მუშაობდა ამ ნაწარმოებზე. თუმცა როგორც მისი საუბრიდან ჩანდა, კითხვისგან დიდ სიამოვნებას იღებდა, რაც პოზიტიური ნიშანია. მოსწავლეები აუცილებლად იგრძნობენ პედაგოგის ამგვარ დამოკიდებულებას, რაც ამ ნაწარმოებს მათთვისაც საინტერესოს გახდის.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, 2005 წელს 1,004,725 დასახელების წიგნი გამოიცა მთელს მსოფლიოში, აქედან 206,000 დიდი ბრიტანეთის, ხოლო 172,000 აშშ-ს გამომცემლობების მიერ. არ შეგეშალოთ, აქ ტირაჟებზე არ ვსაუბრობთ – ციფრები უნიკალურ დასახელებებს ასახავს. წელს, თებერვალში უკვე გამოცემულია 144,901 დასახელების ახალი წიგნი. ამას ემატება არანაკლები რაოდენობის ინტერნეტ-გვერდები. მაგ. მხოლოდ დღეს 560,000-ზე მეტი პერსონალური ინტერნეტ-გვერდი განახლდა ახალი ინფორმაციით (იხ. საიტი http://www.worldometers.info/). 2000 წელს საქართველოში ინტერნეტის 20,000 მომხმარებელი იყო, 2006 წელს კი – 332,000. ის ლიტერატურა, რომელიც ჩვენი თანამოქალაქეებისთვის არის ხელმისაწვდომი, გაცილებით უფრო მოცულობითია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სახლიდან გაუსვლელად, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის ზღვა მასალაზე მიუწვდებათ ხელი. ქართული ლიტერატურის ინტერნეტ საცავს, www.lib.ge-ს დღეში საშუალოდ 1800 ადამიანი სტუმრობს, www.literatura.ge-ს კი – დღეში 800 ადამიანი. ირმის ნახტომის პროექტის ფარგლებში შექმნილი ლიტერატურის საცავი http://www.vakhtang-vi.ge ასობით ქართველი და უცხოელი ავტორის ნაწარმოებსა და ბიოგრაფიას იტევს.

დღეს მასწავლებლებისა და მათი მოსწავლეების წინაშე სხვა ამოცანები დგას. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, ყოველ სკოლადამთავრებულს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი.

ხელმისაწვდომი ინფორმაციის ასეთი ნაკადის პირობებში, დღეს მასწავლებლებისა და მათი მოსწავლეების წინაშე სხვა ამოცანები დგას. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, ყოველ სკოლადამთავრებულს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. ქართველმა მოსწავლეებმა ისე უნდა იცოდნენ უცხო ენები, რომ თავისუფლად შეძლონ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემული ლიტერატურის წაკითხვა. ტექნიკური ამოცანების გარდა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად შეძლებენ ჩვენი მოქალაქეები საკუთარი სიამოვნებისთვის კითხვას. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელი თავად იყოს კითხვის მოყვარული და მოსწავლეებისთვის მაგალითის მიცემა შეეძლოს.

10 რჩევა
დამწყებ მასწავლებლისთვის

მიხეილ მინდაძე

თბილისის 161-ე საჯარო სკოლის დირექტორი

რატომ ავირჩიე ეს პროფესია

გააზრებული არჩევანი – რატომ ავირჩიე მასწავლებლის პროფესია? – ეს შეკითხვა საკუთარ თავს ხშირად დაუსვით. მასწავლებლობა ძალიან სერიოზული, საჭირო და სასიამოვნო საქმეა. ერთი მხრივ, რთულია, რადგან ქვეყნის ხვალინდელ დღეს ქმნი და მეორე მხრივ, სასიამოვნოა, რადგან შენ მიერ გაკეთებული საქმის შედეგს ხედავ. პროფესიის არჩევისას ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოთ, კარგად დაფიქრდით და აწონ-დაწონეთ, რათა შემდეგ მთელი ცხოვრება საკუთარი პროფესიით იამაყოთ.

დამოუკიდებელი აზროვნება – მასწავლებლობა ხელობა არ არის, უფრო ხელოვნებაა და ნიჭიც ისევე აუცილებელია, როგორც მხატვრისა თუ მუსიკოსისათვის. მას, ვისაც პიროვნების განვითარებაზე გავლენის მოხდენა სურს, მხოლოდ ერთი რამ შეუძლია – განუვითაროს ამ ადამიანს განსჯის უნარი, ასწავლოს მას საკუთარი გონებით ფაქტებზე დაკვირვება და დასკვნების დამოუკიდებლად გაკეთება. სწორედ ამ აზრმა მომცა ბიძგი, ახლებურად დამეწყო ფიქრი სწავლების პროცესში ბავშვის ადგილის განსაზღვრასა და სკოლაში ახლებურად მუშაობაზე.

ვის ვასწავლით

მასწავლებელს უნდა უყვარდეს ბავშვი – ეს ფრაზა განათლების მთავარი სლოგანია. მაგრამ განა მჭედელს, ექიმს, მძღოლსა თუ დიასახლისს ნაკლებად უნდა უყვარდეს ბავშვი? ალბათ მთავარი ეს არ არის – ბავშვი ყველას უყვარს და პროფესიების მიხედვით ამ გრძნობის დახარისხება შეუძლებელია. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ბავშვები ზუსტად ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ჩვენ. მათაც ისევე უხარიათ და სწყინთ, სტკივათ. ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ასაკსა და გამოცდილებაშია. ჩვენ, უბრალოდ, ცოტა მეტი დრო გვქონდა, რათა მეტი გვენახა, გვესწავლა, გაგვეკეთებინა და ახლა ეს ყველაფერი მათ უნდა გავუზიაროთ.

> ბევრი ვიფიქრე, როგორ დამეწყო ეს სტატია და რა რჩევის მიცემა შემეძლო დამწყები კოლეგებისთვის, ან რა ფორმითა და ტონით. ბოლოს გადავწყვიტე, გადამეხედა განვლილი წლებისათვის და გამეზიარებინა ჩემი დაკვირვებანი და ნააზრევი.

ყველა მოზარდი განსხვავებულია – კლასი ერთი მთლიანობა არ არის. ეს განსხვავებული და ამავე დროს თანასწორი ადამიანების ერთობაა. აქ არიან ბავშვები სხვადასხვა სოციალური წარმომავლობითა და ემოციური თავისებურებებით. ყოველი მათგანი ინდივიდია, თავისი ხასიათითა და ზნით. მათ თანაბრად სჭირდებათ ყურადღება, სითბო და აზრისა თუ ემოციის გამოხატვის თავისუფლება.

როგორი უნდა იყოს მასწავლებელი

ბევრი რამ სჭირდება ადამიანს დიპლომში პროფესიის აღმნიშვნელი ჩანაწერიდან მასწავლებლობამდე. დავიწყე მასწავლებლისათვის აუცილებელი თვისებების ჩამოთვლა და მნიშვნელობის მიხედვით დახარისხება, თუმცა მივხვდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა – ყველა ეს თვისება მთავარია და თანაბრად მნიშვნელოვანი.

სკოლის მასწავლებლების მიზანი მხოლოდ საგნის კარგად სწავლება არ არის. ჩვენ, ოჯახთან ერთად, ვაყალიბებთ პიროვნებას და ვზრდით მოქალაქეს, პატრიოტს. ამ შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ საგანს ვასწავლით. ეს მისია ყველას თანაბრად გვაკისრია, რადგან საგანმანათლებლოს გარდა, აღმზრდელობითი ფუნქციაც გვაქვს და მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას ვუწყობთ ხელს. ჩვენ ხომ გვსურს, ისეთი საზოგადოების შექმნა, *„რომელშიც წესად იქცევა ის, რაც დღეს გამონაკლისს წარმოადგენს“ (ბერტოლდ ბრეჰტი).*

მასწავლებელი პიროვნული ღირსებებით მისაბაძი მაგალითია მოსწავლისთვის. იგი თავისი მოქმედებით დემოკრატიული აზროვნებისა და ურთიერთპატივისცემის მაგალითს უნდა აძლევდეს მას.

უწყვეტი პროფესიული ზრდა – ამ საკითხზე საუბარი ცოტა უხერხულია, მაგრამ საჭიროა. საგანი, რომელსაც ასწავლის, პედაგოგმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს. ის მუდმივად უნდა იღრმავებდეს ცოდნას და მხოლოდ სასკოლო პროგრამით არ უნდა შემოიფარგლოს. ირგვლივ ყველაფერი ვითარდება, იცვლება ხედვა, არის ახალი მიღწევები და აღმოჩენები. ყოველივე ამის შესახებ იცის ბავშვმა, სვამს უამრავ კითხვას და ამ კითხვებს პასუხები სჭირდება. მასწავლებელი არ უნდა ჩამორჩეს ცხოვრებას. იგი ვალდებულია, ეძებოს კონკრეტული და ეფექტური საშუალებები, რათა მოსწავლეს ინტერესი გაუღვივოს, გამოაცოცხლოს და გააქტიუროს იგი. ამიტომ მასალის მონოტონური გამეორების ნაცვლად, ეცადეთ, ბავშვს მიაწოდოთ ახალი, საინტერესო, კონკრეტული ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით. გააკეთეთ ყველაფერი, რათა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში ჩაერთოს და მან დისკუსიაშიც მიიღოს მონაწილეობა.

ნდობა და გულწრფელობა – მასწავლებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა ძნელად მოსაპოვებელი და ადვილად დასაკარგი, ნდობაა. მისი მოპოვების ერთ-ერთი მთავარი გზა კი გულწრფელობაა. ბავშვს უნდა სჯეროდეს მასწავლებლის, უნდა ენდობოდეს მას. ბავშვებთან ტყუილი დაუშვებელია. თუ რაიმე არ იცით, სჯობს პირდაპირ თქვათ. თუ კარგ (ან ცუდ) გუნებაზე ხართ, თუ გაბრაზდით, გეწყინათ, გაგიხარდათ, ბავშვმა ეს უნდა დაინახოს და იგრძნოს. უემოციო, ცივ არსებად, ინფორმაციის უსახურ წყაროდ ნუ გადაიქცევით. თუმცა არ დაივიწყოთ, რომ უფროსები ხართ და თავშეკავებაც გმართებთ.

სამართლიანობა – სამართლიანი უნდა იყოთ ყველასთან და ყველაფერში – მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და კოლეგებთან. სამართლიანი უნდა იყოთ მოსწავლის ცოდნის შეფასებისას. წახალისების ან დასჯის შემთხვევაში, თქვენი სამართლიანობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არ გამოარჩიოთ ბავშვები რაიმე ნიშნით.

ურთიერთობები – უნდა იყოთ ღია, კომუნიკაბელური და ადვილად ამყარებდეთ ადამიანებთან კონტაქტს. შეეცადეთ, გახდეთ ბავშვისთვის საინტერესო. გახსოვდეთ, რომ ცოდნის გადაცემის გარდა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მისია გაკისრიათ – ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების და მოქალაქის ჩამოყალიბება. ამისათვის კი პირადი მაგალითი აუცილებელია.

განათლება – თქვენი ზოგადი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. იცოდეთ, რომ ბავშვისათვის საინტერესო თემებზე უნდა შეგეძლოთ საუბარი, მიუხედავად იმისა, რა არის თქვენი ძირითადი საგანი. ერიდეთ ჟარგონს, ილაპარაკეთ გამართული ლიტერატურული ენით. იყავით მუდამ კორექტული, მოიქეცით ბავშვებთან ისე, როგორ მოქცევასაც მათგან ითხოვთ.

მასწავლებლის იერსახე – ყოველთვის მიაქციეთ ყურადღება თქვენს იერსახეს, ჩაცმულობას, გემოვნებასა და ლექსიკას.

და ბოლოს, არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ ოდესღაც თქვენც იყავით ბავშვი და შეეცადეთ, საკუთარ თავში ბავშვობა გააღვიძოთ. არ მისცეთ თქვენს თავს ნაადრევად გადაღლის, ხოლო სკოლას – დაბერების საშუალება. ეცადეთ, ჩვენმა ბავშვებმა ისწავლონ თავიანთი თაობის შესაფერის და არა თქვენი ბავშვობის სკოლაში. ყოველივე ეს მხოლოდ უდიდესი მოთმინების ფასად შეიძლება განხორციელდეს.

როცა კლასში რთული ბავშვია

მესამეკლასელ სანდროს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის დიაგნოზი მას შემდეგ დაუსვეს, რაც სკოლის მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ბავშვის ცელქობა ყველა ზღვარს სცილდებოდა. პედაგოგის რჩევით, სანდროს მშობლებმა სკოლის ფსიქოლოგს, შემდეგ კი სპეციალურ მულტიდისციპლინურ ჯგუფს მიმართეს. მოზარდის ოჯახური და სასკოლო გარემოს კველევის შედეგად დადგინდა, რომ მას სწავლა უჭირდა, ჰქონდა სოციალური და ემოციური ადაპტაციის პრობლემები, იყო ძალზე მგრძნობიარე წარუმატებლობის მიმართ, ზედმეტად მოუსვენარი, უყურადღებო და აქტიური – იქ, სადაც მისგან ამას არავინ ითხოვდა.

ირმა კახურაშვილი

გამოკვლევების თანახმად, ეს სინდრომი სასკოლო ასაკის ბავშვების 3 – 7%-ს აღენიშნება, უმეტესწილად ბიჭებს. როგორც წესი, მასწავლებლებმა და მშობლებმა არ იციან, რა მოუხერხონ უმართავ მოსწავლეს, რომელიც სასწავლო პროცესში ვერაფრით ერთვება. სპეციალისტები ამბობენ, რომ პრობლემა მოგვარებადია, თუ მას კომპლექსურად მივუდგებით.

ცელქი ბავშვი თუ ყურადღებისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი

ყველა პედაგოგისთვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც მოსწავლე გაკვეთილზე ვერ ჩერდება, გამუდმებით წრიალებს, ხმაურობს, დგება და ნებართვის გარეშე გადის კლასიდან. ასეთი მოზარდები, უმეტესწილად, არც თავად სწავლობენ და არც სხვას აძლევენ სწავლის საშუალებას. ისინი ხშირად იღებენ დაბალ შეფასებას, შენიშვნებს და თანატოლების დაცინვის საგნადაც იქცევიან.

ამ თემას XX საუკუნეში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. დღეს უკვე აღიარებულია, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD) ფიზიოლოგიური და

ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემათა კომპლექსია. ექსპერტების ნაწილის აზრით, ამის მიზეზს თავის ტვინში ნერვული იმპულსის არასწორი ქმედება წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, ესაა ქცევის დარღვევა, რომლის გამომწვევი ზუსტი მიზეზები დადგენილი არ არის.

საქართველოში, აშშ-სგან განსხვავებით, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი მედიკამენტოზური გზით არ იკურნება. ამიტომ ქართველი სპეციალისტები ასეთ ბავშვებთან ქცევის მართვის სქემებით მუშაობენ.

სინდრომის ნიშნები ყველაზე ხშირად სკოლამდელ ასაკში ან პირველ კლასში ვლინდება. მშობლები სკოლამდელი ბავშვების ქცევას ცელქობად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ზრდასთან ერთად „ესეც გაივლის“. თუმცა ხშირად ის ზრდასრულობაშიც გადადის. დიაგნოზის დასმა ყველაზე ხშირად სასკოლო გარემოში ხდება, სადაც ბავშვები გარკვეულ წესებს უნდა დაემორჩილონ, ეს კი მათ შესაძლებლობებს აღემატება.

როგორ გაარჩიონ მასწავლებელმა და მშობელმა, ბავშვი უბრალოდ მოუსვენარია თუ საქმე ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომთან აქვთ?

ნეიროფსიქოლოგ თინათინ ჭინჭარაულის განმარტებით, ამის განსაზღვრა მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია. „დიაგნოსტიკის პირველი ეტაპი მშობელთან ინტერვიუა. მათ რომ ჩავეძიებით, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ბავშვს ჩვილობაშივე ჰქონდა ძილის პრობლემები, ცვალებადი მოთხოვნილებები, ადვილად ღიზიანდებოდა, არ შეეძლო დიდხანს ერთი და იმავე აქტივობის განხორციელება. ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას ასაკობრივი ნორმების მიხედვით

ვაფასებთ, ვსწავლობთ მის მეხსიერებას, აღქმის უნარს, მეტყველებას, აზროვნებას.... ჩვენი დანიშნულება სწორი დიაგნოზის დასმაა – ყურადღების დეფიციტის გარდა, რომელიც ისედაც თვალში საცემია, ვიგებთ, რა უნარები აქვს ბავშვს და რამდენად განვითარებული. პრობლემის გამოვლენისთანავე ვეძებთ ძლიერ მხარეს, რათა უნარების შესაბამისი სავარჯიშოები შევადგინოთ. სავარჯიშოებს ვაძლევთ ასევე მშობლებს, მასწავლებლებს და სკოლის ფსიქოლოგებს“.

ხშირად ამ სინდრომისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გაქრობა მათი მართვის უნარ-ჩვევის გამომუშავების ხარჯზე ხდება. ის ბავშვები, რომლებიც დახმარებას იღებენ მასწავლებლების, მშობლებისა და ექიმებისგან, გაცილებით ადვილად სძლევენ პრობლემებს და კარგად ეგუებიან სასკოლო გარემოს.

დადებითი შედეგის მისაღწევად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებთან არა მხოლოდ ნეიროფსიქოლოგი, არამედ მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებიც უნდა მუშაობდნენ – პედიატრი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი. როგორც წესი, ისინი ყველა იმ პირის გამოკითხვას ატარებენ, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ბავშვთან, ადარებენ მოზარდის ქცევას სახლსა და სკოლაში.

„სინდრომი აერთიანებს ბავშვების ორ ჯგუფს: ყურადღების დეფიციტით, ჰიპერაქტივობის გარეშე და მეორეს – ყურადღების დეფიციტით, ჰიპერაქტივობით და იმპულსურობით. პირველი ჯგუფის ბავშვები არიან აპათიურები, მოდუნებულები, მორცხვები და არავის აწუხებენ. მეორესი კი მოუსვენრობით, აგრესიული ქცევით, ზედმეტი აქტიურობით გამოირჩევიან. ორივე კატეგორიის ბავშვებს განსხვავებული მიდგომა სჭირდებათ. ახალ, საინტერესო სიტუაციაში, ვთქვათ, ტესტირების დროს სიმპტომები თითქმის შეუმჩნეველი ხდება ან საერთოდ ქრება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მშობლებისა და მასწავლებლების ინფორმაცია ბავშვის ქცევის შესახებ“, – ამბობს თინათინ ჭინჭარაული.

როგორ ვმართოთ ADHD სინდრომის მქონე ბავშვის ქცევა

მესამეკლასელი სანდრო, რომელსაც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი აღმოაჩნდა, ფსიქოლოგ ანა ლაღიძის ყურადღების ცენტრში მოექცა.

„ძალიან უჭირდა გარკვეული დავალებების შესრულება და ცუდად კითხულობდა. დაფასთან მისი გამოყვანა ნამდვილი კლოუნადა იყო და როგორც წესი, მშობლების სკოლაში გამოძახებით მთავრდებოდა. მასწავლებელი სანდროს თავხედად მიიჩნევდა და ბავშვსაც მუდმივად

უწევდა საყვედურების მოსმენა. ის კარგად განვითარებული გონებრივი შესაძლებლობების მქონე და ცხოველების დიდი მოყვარული აღმოჩნდა, მაგრამ მართლაც მოუსვენარი იყო. ძალიან ცუდია, როდესაც მშობელი უფრო იოლად იჯერებს იმას, რომ მისი შვილი ზარმაცი და უპასუხისმგებლოა, ვიდრე სპეციალისტების დიაგნოზს. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ მშობელსა და მასწავლებელს ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგია," – ამბობს ანა ლაღიძე.

ბავშვის ქცევის მართვა, უპირველესად, სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვაში გამოიხატება. ფსიქოლოგები სქემასა და რეკომენდაციებს იძლევიან, სტრატეგიებს კი მშობლები და მასწავლებლები ახორციელებენ. მათივე საქმეა ამ სქემის ფანტაზიითა და შინაარსით გამდიდრება, რათა ბავშვისთვის ეს ყველაფერი სახალისო იყოს.

სანდროს შემთხვევაში, მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობა შედგა და ბავშვის ქცევის შეცვლამ შედეგი გამოიღო. ის თანაკლასელებს სწავლაში დაეწია. სამწუხაროდ, მშობლები და მასწავლებლები ხშირად ამას ვერ ახერხებენ და ცდილობენ, პასუხისმგებლობა კი არ გადაინაწილონ, არამედ ერთმანეთს გადააბარონ.

მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ შეთავაზებული სქემების დაცვით მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობაში ბავშვის ჩართვას მოახერხებს, მოზარდი კი საშინაო დავალების შესრულებასა და საერთო სასკოლო ქცევის წესების დაცვას შეძლებს. გარემოს სწორად მოწყობით მასწავლებელს ბავშვის ჰიპერაქტიურობის მინიმუმამდე დაყვანა შეუძლია.

„მესმის, რომ პედაგოგისთვის ეს დამატებითი შრომაა. ასეთი სინდრომის მქონე ბავშვთან მასწავლებელი მომთმენი, შემოქმედებითი და თანმიმდევრული უნდა იყოს, მაგრამ ამისთვის მას სპეციალური მომზადება სჭირდება. ბავშვმა ზუსტად უნდა იცოდეს, როგორი იქნება მასწავლებლის რეაქცია წესის დარღვევასა თუ მის დაცვაზე," – ამბობს ანა ლაღიძე.

„ბავშვს, რომელსაც ყველაგან ემდურიან – სკოლაშიც და სახლშიც – დაბალი თვითშეფასება უვითარდება. ასაკის მატებასთან ერთად ეს პრობლემები მწვავდება და მოზარდების 70%-ში აგრესიულ, ასოციალურ ქცევას იწვევს", – განმარტავს თინათინ ჭინჭარაული. მისივე თქმით, „მასწავლებელმა გაკვეთილების აგების პრინციპი და მოსწავლისადმი დამოკიდებულება უნდა შეცვალოს. დღეს პედაგოგების უმეტესობა კვლავ წარჩინებულ მოსწავლეებზეა ორიენტირებული, პრობლემების მქონე ბავშვებს კი ყურადღება აკლდებათ. ხშირად მათ სკოლიდან გარიცხვაც ემუქრებათ. ბევრ სკოლას ფსიქოლოგიც არ ჰყავს."

ექსპერტების აზრით, ასეთი ბავშვების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მასწავლებელმა ყურადღების კონცენტრაციაზე მიმართული სტრატეგია უნდა გამოიყენოს, რომელიც ხშირად არა მხოლოდ ამ ბავშვისთვის, არამედ მთელი კლასისთვის არის მომგებიანი, განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში.

ერთი დღე შაუმიანის სკოლაში

სოფელ შაუმიანის მე-2 საჯარო სკოლაში კონფლიქტის ზონიდან დევნილი მოსწავლეებისათვის გაკვეთილებს იძულებით გადაადგილებული მასწავლებლები ატარებენ. რუსულენოვან სკოლაში აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული რეგიონის ბავშვებისათვის ქართული სექტორი გაიხსნა. 200-მდე დევნილ ოჯახს შაუმიანში, ყოფილი სამხედრო

ნაწილის ტერიტორიაზე, შვიდი საცხოვრებელი კორპუსი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუთმო. აქ, ძირითადად, არცევიდან, ვანათიდან, ერედვსა და კეხვიდან იძულებით

გადაადგილებული მოსახლეობა ცხოვრობს. შაუმიანის სკოლაში სულ 140 მოსწავლე – 90 ადგილობრივი და 60 დევნილი მოზარდია. სკოლის ადმინისტრაციამ ახლადგახსნილ ქართულ სექტორზე მასწავლებლებად შაუმიანის, კოდის და წეროვანის დასახლებებში მცხოვრები პედაგოგები მიიწვია.

„მასწავლებლის“ ჟურნალისტებმა, მალხაზ მაჭავარიანმა და შორენა ბურდილაძემ შაუმიანის სკოლასა და ჭულუხიძეების ოჯახში, დევნილთა დასახლებაში, ერთი დღე გაატარეს.

სკოლის უხუცესი მასწავლებელი გოდერძი გლიაძე სოფელ კეხვის სკოლაში 38 წელი მუშაობდა

ჭულუხიძეების ოჯახი აგვისტოს ომის შემდეგ შაუმიანში დასახლდა



ერთი სკოლა

და მთელი სამყარო

ველოსიპედი, ნატო, თოვლის ბაბუა და ლეპტოპი ბუნებაში – რას შეიძლება მიაღწიოს სკოლამ მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების თანამშრომლობით – ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის გამოცდილება.

მაკა ჩინიჯიშვილი

გაზეთ P.S.-ის კორესპონდენტი, ქუთაისიდან, სპეციალურად „მასწავლებლისათვის“

ამ სკოლაში გასული წლის დასასრულს ქალბატონი და ბატონი პროექტის საპატიო წოდებები მასწავლებელმა და მოსწავლემ გაინაწილეს. ქალბატონი პროექტი მასწავლებელი ეკა მურუსიძე გახდა, ხოლო ბატონი პროექტი – მე-12 კლასის მოსწავლე ბექა გაბადაძე. ეს შიდასასკოლო ტიტულებია, თუმცა ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა არც „საგარეო“ მიღწევების სიმცირეს განიცდის – კონკურსებში არაერთხელ გამარჯვებული საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების სამინისტროს მიერ აღიარებულ 60 საუკეთესო სკოლას შორის ერთ-ერთია.

ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა 2005 წელს განათლების სამინისტროს 100 საპილოტე სკოლის ნუსხაში მოხვდა. „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, კომპიუტერებიც მიიღეს. ამბობენ, რომ ამის შემდეგ აქ ახალი ცხოვრება დაიწყო.

ირინე ჯგერენაია, მე-17 სკოლის დირექტორი: „თავიდანვე შემოვიღეთ ინფორმატიკის კურსი, რომ მოსწავლეებს კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები შეეძინათ. დღეს 48 კომპიუტერი გვაქვს და ამ კუთხით, ევროპულ სტანდარტსაც ვაკმაყოფილებთ“.

კომპიუტერულმა ბაზამ და უფასო ინტერნეტმა სკოლა მთელ სამყაროსთან დააკავშირა. ის ინფორმაციაც ხელმისაწვდომი გახდა, რომელიც მათ სხვადასხვა სახის კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა. გაჩნდა ახალი იდეებიც. „თითქმის ყველა კონკურსში ვმონაწილეობთ, არ აქვს, მნიშვნელობა, ვიმარჯვებთ თუ არა. მთავარია, რომ მასწავლებლებთან ერთად ბავშვებს უამრავი ორიგინალური იდეა აქვთ“, – ამბობს ქალბატონი ირინე.

იდეების გენერატორი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის გუნდია. ბექა გაბადაძე, გიორგი გულიაშვილი, ხატია ნალჩევანიძე და რამინ ჯინჭარაძე. თითოეული მათგანი სკოლაში კლუბს ხელმძღვანელობს: რამინი ეკონომისტთა კლუბს ხელმძღვანელობს, გიორგი – ინტელექტუალებს, ხატია – მხიარულებსა და საზრიანებს, ბექა კი პრესკლუბისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელია.

მე-17 სკოლაში მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანამშრომლობით უკვე არაერთი პროექტი განხორციელდა. შეიქმნა ქართველ და უცხოელ ხელოვანთა და მწერალთა ვებგვერდებიც. მოსწავლეები ამბობენ, რომ პროექტებზე დიდი ინტერესით მუშაობენ, თუმცა ყველაზე მეტად ქუთაისელთა ლექსიკონში ბარბარიზმების ძიება და 1918-1921 წლების მწერლობისა და ეპოქის კვლევა მოეწონათ. ბოლო წლებში სკოლამ პარტნიორები და მეგობრებიც შეიძინა. ნატოს საინფორმაციო ცენტრთან და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან უკვე დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ. საერთაშორისო პროექტის, Global Gateway ფარგლებში კი სკოლა სტრეტფორდის და ნიუკასლის (დიდი ბრიტანეთი) სკოლებთან თანამშრომლობს. 2008 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ გუნდურ-ინტეგრირებული პროექტების ოლიმპიადაში მე-17 სკოლა ხუთი პროექტით მონაწილეობდა. მათ შორის ორმა – *„ნატო და ჩვენი სკოლა“* და *„დიდებული საუბრები“* – მეორე ადგილი მოიპოვა და საპრიზო თანხა, 1066 ლარი მიიღო. გაიმარჯვეს ეკონომიკაში გამოცხადებულ კონკურშიც: *„ერთად ვაშენოთ ქვეყანა“*. იდეისათვის – გაზეთების რეალიზება ველოსიპედებით – 1500 დოლარით დაჯილდოვდნენ. საახალწლოდ კი ქალაქს თოვლის ბაბუას მომსახურების სერვისი შესთავაზეს, 150 ლარად ფორმები შეიძინეს და სკოლის მეზობლებიც გაამხიარულეს.

ბექა გაბადაძე, მე-17 სკოლის მოსწავლე: „ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თემის აქტიური წევრები ვიყოთ. ვატარებთ გამოკითხვებს და ვცდილობთ, მოქალაქეებს ინფორმაცია მივაწოდოთ. მათთვის ღია კარის დღეებიც გვაქვს დაწესებული. ცოტა ხნის წინ განვახორციელეთ პროექტი „ლეპტოპით ბუნებაში“. უსადენო ინტერნეტის საშუალებით სკოლიდან 300 მეტრით მოშორებულ თემის მცხოვრებლებს ახლა ინტერნეტით სარგებლობა შეუძლიათ“.

ბექა წელს სკოლას ამთავრებს, მაგრამ აქაურობასთან ურთიერთობის გაწყვეტას არ აპირებს. თავად ამბობს, რომ სკოლაში კარგ გუნდს ტოვებს.

ირინე ჯგერენაია, მე-17 სკოლის დირექტორი: „ჩემს ირგვლივ იმდენი კარგი ბავშვია, რომ სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. ვცდილობთ, რომ მეც, სკოლამაც და მასწავლებლებმაც ამ ბავშვების ირგვლივ ვიტრიალოთ. არ შეიძლება, გაჩერდე ან შეისვენო, არც კმაყოფილება უნდა დაგეუფლოს. თუ ფიქრობ, რომ ყველაფერი კარგადაა, ეს ილუზიაა და თუ ფიქრობ, რომ მომავალში იქნება უკეთ, ეს იმედია.“

ნარმაჯების ფორმულა

გარდაბნის გამოცდილება

მშობლები შენობის კედლებს ლესავენ და ღებავენ, მოსწავლეები ეზოს ამწვანებენ, სკოლა საკონკურსო პროექტებზე მუშაობს – სწავლის ხარისხის გაუმჯობესება სკოლას დამატებითი თანხების გარედან მოზიდვითაც შეუძლია. გარდაბნის მე-4 საჯარო რუსულენოვან სკოლაში უკვე იციან, როგორ განსაზღვრონ პრიორიტეტები და მშობლების, სამეურვეო საბჭოსა და ადმინისტრაციის თანამშრომლობით მიზანს მიაღწიონ.

შორენა ბურდილაძე

სკოლის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით პროვინციული სკოლა, შესაძლოა, რეგიონში სამოდელო სკოლად იქცეს.

ნიზამი ასლამოვი და შახანა როსმანოვა გარდაბნის მე-4 საჯარო სკოლის მე-11 კლასში სწავლობენ. მათთვის მშობლიური ენა აზერბაიჯანულია, ისევე, როგორც მათი თანატოლების დიდი ნაწილისათვის. ამ რაიონის მოსახლეობის 42%-ს ეთნიკური აზერბაიჯანელები შედგენენ. ორივე მოზარდი სწავლის გაგრძელებას საქართველოში, უმაღლეს სასწავლებელში გეგმავს. თანასკოლელებთან ერთად ქართულს, როგორც უცხო ენას, ისე სწავლობენ – კვირაში სამჯერ უტარდებათ გაკვეთილი. მოზარდები ამბობენ, რომ ენის შესწავლა სკოლაში ქართული ენის კაბინეტის გახსნის შემდეგ გაუადვილდათ.

სკოლა რუსულენოვანია. 715 მოსწავლიდან 600 ეთნიკური აზერბაიჯანელია. ქალაქში აზერბაიჯანული და ქართული სკოლებიც არის, თუმცა ამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მსურველი არა მხოლოდ გარდაბანში, არამედ მის მიმდებარე სოფლებშიც ბევრია. ქართული ენის კაბინეტის გარდა, სკოლაში ინგლისური ენისა და გე-

ოგრაფიის კაბინეტებიც მოქმედებს. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ოთახებისა და ბიბლიოთეკის მოწყობა დამატებითი თანხების მოზიდვითა და სამეურვეო საბჭოსა და ადმინისტრაციის ერთობლივი პროექტებით გახდა შესაძლებელი.

„მასწავლებლის“ ჟურნალისტებს მეგზურობა დირექტორმა, ფლორა იუსუბოვამ და ისტორიის მასწავლებელმა, ნოდარ ქავთარაძემ გაგვიწიეს. ისინი ამბობენ, რომ სკოლაში ფასიანი წრეები არ არის და არც შემოწირულობას იღებენ რეგულარულად. პირველი საჩუქარი, რომელიც ამ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიღო, ის 15 კომპიუტერი იყო, „ირმის ნახტომის“ ფარგლებში რომ გადაეცათ.

„ჩვენ მდიდარი სკოლა არ ვართ და არც დიდი ბიუჯეტი გვაქვს, ამიტომ სკოლის კეთილმოწყობას სასკოლო კონკურსებში მონაწილეობით ვცდილობთ“, – ამბობს დირექტორი. მისი აზრით, სწორი მენეჯმენტითა და პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება.

გარდაბნის მე-4 საჯარო სკოლის ერთ-ერთი დონორი ორგანიზაციაა “CARE”, რომელიც საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას ქართლის რეგიონში კომპანია BP-ის დაფინანსებით ახორციელებს. მისმა წარმომადგენლებმა რეგიონის სკოლები შეისწავლეს, დაფინანსება კი იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამოუყვეს, რომლებმაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრიორიტეტები წარუდგინეს და პროექტის განხორციელებაში საკუთარი წვლილიც შეიტანეს. გარდაბნის რუსული სკოლა მათ რიცხვში აღმოჩნდა.

„გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენთვის მთავარია, რომ, რაც შეიძლება, მეტმა ბავშვმა ისარგებლოს დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში შეძენილი ტექნიკა და ლიტერატურა მთელი სკოლის საკუთრება უნდა გახდეს. წარმოდგენილი პროექტები ჩვენი ორგანიზაციის მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს. ეს სკოლა კი მეტად გახსნილი აღმოჩნდა თანამშრომლობისთვის“, – ამბობს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი მეგი ტაბატაძე.

„გადავწვიტეთ, პირველ ეტაპზე სკოლის ბიბლიოთეკა გაგვეახლებინა. ბიბლიოთეკა გავარემონტეთ და მას სამკითხველო დარბაზი დავუმატეთ. 2 ათასი ლარის ღირებულების საბავშვო ლიტერატურაც შევიძინეთ. სამკითხველოს ამოქმედების შემდეგ დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელები ყოველთვიურად ამოწმებენ, რამდენად სარგებლობენ ბავშვები ამ წიგნებით“, – ამბობს ფლორა იუსუბოვა და ქართული ენის კაბინეტისაკენ მივყავართ. „რაიონის მოსახლეობა სწავლის გასაგრძელებლად შვილების საქართველოში დატოვებას ცდილობს. ერთი მხრივ, სტუდენტების ფინანსური უზრუნველყოფა აქ უფრო ადვილია, ვიდრე მათ ეთნიკურ სამშობლოში. მეორე მხრივ კი, საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლება მეტად პერსპექტიულია და სამსახურის შოვნაც უფრო ადვილია. ქართული ენისადმი გაზრდილი ინტერესის გამო ვეცადეთ, ეს კაბინეტი მაქსიმალურად კომფორტული ყოფილიყო მოსწავლეებისთვის“.

კაბინეტში სატელიტური ანტენაა დამონტაჟებული და ბავშვები ქართულ ტელეარხებს უყურებენ. ქართული ენის მასწავლებელი, ემა ლიპარტელიანი ყვება: „ხშირად ვუსმენთ მსახიობ გოგი ხარაბაძეს, რომელიც ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს კითხულობს. გვაქვს მხატვრული ლიტერატურა და ლექსიკონებიც“. რუსულენოვან სკოლაში ქართული სექტორიც გაიხსნა.

ქართული ენის კაბინეტის გარდა, სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტიც მოქმედებს. წელს ახალი პრიორიტეტებიც განისაზღვრა, მათ შორის, საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ხელშეწყობა. ამჯერად ისტორიის მასწავლებელი მიგვიძღვის მორიგი პროექტის ფარგლებში გარემონტებული კლასისკენ, რომელიც ახალი თვალსაჩინოებებით და საჭირო ლიტერატურით არის გამდიდრებული. ასევეა მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტიც.

სკოლაში საკუთარი ეკოკლუბიც აქვთ. მასწავლებლების დახმარებით, ბავშვები თავად მუშაობენ გარემოსდაცვით პროექტებზე. ეკოკლუბის წევრებმა უკვე არაერთი აქცია ჩაატარეს – ხეები დარგეს და შეათეთრეს, მარტყოფის მონასტრის ეზო დაასუფთავეს. ახალი იდეების განხორციელებაზეც ფიქრობენ.

როგორც წესი, სკოლა საკუთარ თავზე პროექტის 25%-იანი თანადაფინანსების ვალდებულებას იღებს. „ბუნებრივია, იმდენი თანხა, რომელიც ათასობით ლარის ღირებულების პროექტის 25%-ს შეადგენს, სკოლას არ აქვს. ამიტომ შევეცადეთ, ეს თანხა საკუთარი შრომით აგვენაზღაურებინა. ფული, რომელიც, პროექტის მიხედვით, ფიზიკურ სამუშაოზე უნდა დახარჯულიყო, ჩვენი მოსწავლეების მშობლებმა დაზოგეს – საქმე უფასოდ შეასრულეს. ღებავდნენ, ლესავდნენ და მასალების ტრანსპორტირებასაც ეწეოდნენ – ამ ყველაფერს ხომ ანაზღაურება სჭირდება. ასე დავაკმაყოფილეთ დამფინანსებლების პირობები“, – განმარტავს ფლორა იუსუბოვა.

„არ ვტოვებთ არცერთ კონკურსს, რომელიც სკოლებისათვის ცხადდება – თუ ვერ გავიმარჯვებთ, მონაწილეობას მაინც მივიღებთ და ძალებს მოვსინჯავთ. არცერთ შესაძლებლობაზე უარს არ ვიტყვით“, – ეს სკოლის სამეურვეო საბჭოს განწყობაა.

გაკვეთილი

მწვანე ხალიჩაზე

ნინო ელბაქიძე,
თეონა ლოდია

ტრენინგი თემაზე „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება – ინკლუზიური განათლება“, ევროსაბჭოს ინიციატივით, გერმანიაში, ქალაქ მაისენში ჩატარდა. ქართველი ექსპერტები – ნინო ელბაქიძე და თეონა ლოდია, პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში, ერთ-ერთ გერმანულ სკოლაში დაწყებითი საფეხურის გაკვეთილებს დაესწრნენ. ამბობენ, რომ გაკვეთილმა, რომელიც „მასწავლებლისთვის“ აღწერეს, მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

რიგითი სკოლა, ჩვეულებრივი გარემო – ასეთი საქართველოშიც ხშირად შეგხვდებათ. ბავშვების ნამუშევრებით მოფენილი თეთრი კედლები და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საგაკვეთილო წესები. რიგებად ჩამწკრივებული მერხები, მასწავლებლის მშვიდი, გაწონასწორებული ხმა და ასეთივე მშვიდი ატმოსფერო. საკლასო ოთახის ერთ კუთხეში მწვანე ხალიჩაა გაშლილი.

ზარი დაირეკა და ბავშვები საკლასო ოთახში შემოვიდნენ, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. მასწავლებელი მათ მიესალმა და გაკვეთილის გეგმა გააცნო. „თავიდან ხალიჩაზე ვივარჯიშებთ“, – თქვა მან. ბავშვები წრეში მოკალათდნენ და მასწავლებელიც მათთან ერთად დაჯდა ხალიჩაზე. მოკლე, მარტივი და ზუსტი ინსტრუქციის შემდეგ მათთვის ცხადი ხდება, რა უნდა გააკეთონ.

წინასწარ მომზადებულ ბარათებზე მარტივი წინადადებებია ჩამოწერილი, სხვადასხვა პირსა და რიცხვში მოცემული განსხვავებულფუძიანი ზმნებით. თითო მოსწავლეს თითო ბარათი ერგო. მასწავლებელი ბარათებზე დაწერილი ამოცანების კითხვას შეუდგა. დავალება ასეთია: იპოვეთ ზმნა, რომელიც მესამე პირში, მხოლობით რიცხვში, აწმყო დროშია და მის ფუძეში ორი ასო **m**-ია. მოსწავლე, რომელსაც ამ ამოცანის პასუხი აღმოაჩნდება, უხმაუროდ დებს ბარათს წრის შუაგულში. ბოლოს, როცა მასწავლებელს ერთი ამოცანა დარჩა, აღმოჩნდა, რომ ერთადერთი მოსწავლის ხელში შერჩენილი ბარათი ამოცანას არ შეესატყვისებოდა. ჩანს, ვიღაც შეცდა. ბავშვები თავადვე პოულობენ შეცდომას.

შემდეგი სავარჯიშო ზმნებში საერთო ასოების აღმოჩენას ეხება. მოსწავლეებმა დააჯგუფეს ზმნები, რომელთა ფუძეში ორი **m**, ორი **l** და ორი **n** იპოვეს (ასეთია გერმანულში: **sammeln, nennen, rollen**). ბავშვებმა შექმნეს ე.წ. ოჯახები, რომლებშიც ერთნაირი ასოების შემცველი სიტყვები გააერთიანეს. ისინი დავალებას ენთუზიაზმით ეკიდებიან და ჩანს, რომ ამ სამუშაოს დიდი სიამოვნებით ასრულებენ. ბოლოს ბავშვებს ურიგდებათ იგივე ამოცანები, რომლებსაც რიგრიგობით კითხულობენ და წრიდან შესაბამის ბარათს იღებენ. ვარჯიშის დასასრულს ბარათებს უხმაუროდ ათავსებენ ყუთში.

მოსწავლეებმა მერხებთან გადაინაცვლეს და მასწავლებელმა მათი ყურადღება დაფაზე, წინასწარ მომზადებულ ცხრილზე გადაიტანა. ისინი ინდივიდუალურად მუშაობენ რვეულებში – შესაბამისი ზმნები ცხრილში უნდა მოათავსონ. ამისთვის მათ რამდენიმე წუთი აქვთ. შემდეგ კი შესრულებული სამუშაო დაფაზე რიგრიგობით გადააქვთ. ბოლოს თითოეულ მოსწავლეს დრო ეძლევა იმისთვის, რომ დაფაზე შესრულებულის მიხედვით თავად განსაზღვროს, თუ რამდენად გაართვა თავი დავალებას.

ახლა წყვილების მუშაობის დრო დგება. მოსწავლეებმა ცალკეული სიტყვებისაგან წინადადებები უნდა ააწყონ. მასწავლებელს აქაც წინასწარ აქვს მომზადებული საჭირო მასალა: დიდ ყუთში მოთავსებული პატარა ყუთები, რომლებსაც სახურავზე ლურჯი და წითელი წერტილები აქვს. ამ დეტალს ყურადღებას არც მივაქცევდით, რომ არა მასწავლებლის ინსტრუქცია: თურმე ლურჯი წერტილი მარტივ დავალებას, ხოლო წითელი შედარებით რთულს ნიშნავს. წყვილებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რთულს აირჩევენ, თუ მარტივს. მოსწავლეებმა აწყობილი წინადადებები რვეულში უნდა ჩაწერონ. ჯგუფური მუშაობა ხმაურს იწვევს. ბავშვები საუბრობენ, ბჭობენ, ვერსიებს ადარებენ. ეს საქმიანი ხმაურია და მასწავლებელი მათ შენიშვნას არ აძლევს, მაგრამ როცა ჯგუფში მუშაობის დრო სრულდება, ის მოსწავლეებს სიჩუმისაკენ მოუწოდებს. მისი ხმა უფრო დაბალია, ვიდრე საერთო ხმაური, მაგრამ იგი ჟესტიკულაციით ანიშნებს ჯგუფს, რომ მუშაობა დასრულებულია. ბავშვებმა წინადადებების საკუთარი ვერსიები წარმოადგინეს.

და ბოლო დავალება: მოსწავლეებმა აწყობილი წინადადებები წარსულ დროში უნდა გადაიყვანონ. ისინი წარსულ დროში გადაყვანილ წინადადებებს ჯერ რვეულში წერენ, შემდეგ კი კლასის წინაშე წარმოადგენენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის დასასრულის მოახლოებას ამცნობს. შეკითხვაზე, თუ რა იყო დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რას გაითვალისწინებენ შემდეგში, ის განსხვავებულ პასუხებს იღებს ბავშვებისგან.

მოსწავლეებს ამ გაკვეთილზე დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობის, თვითშეფასებისა და არჩევანის, საგაკვეთილო აქტივობაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ. მასწავლებლის მხრიდან ზუსტი და მარტივი ინსტრუქციები ყოველი სავარჯიშოს დასაწყისში ისმის. ხშირ შემთხვევაში, მინიშნებებისთვის გამოყენებულია ჟესტებიც. უმიზნოდ გაფლანგული არცერთი წუთი, არცთუ დიდი რესურსი, მხოლოდ მასწავლებლის მიერ გაკვეთილის მოსამზადებლად დახარჯული დრო.

შესაძლოა, ამ გაკვეთილში არაფერია განსაკუთრებული. რიგითი მეცადინეობა ჩვეულებრივ სკოლაში. თუმცა, 45 წუთი ისე გადის, რომ ვერც გრძნობ.

ჩემი ისტორია
– მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სკოლაში

მიხეილ გოგატაშვილი

მიხეილ გოგატაშვილი – მასწავლებელი და მხარეთმცოდნეა. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მკლევარ პედაგოგთა ცენტრის წევრი და დამსახურებული მასწავლებელი, საჩხერის საპატიო მოქალაქე და ღირსების მედლის კავალერია. ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის ექსპონატებს სკოლის მოსწავლეები და მასწავლებელები ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს აგროვებდნენ, მისი ინიციატივით შეიქმნა. ბატონი მიხეილი 77 წლისაა, დღესაც ქორეთში ცხოვრობს და მუზეუმის შექმნის ისტორიას „მასწავლებელს“ მოუთხრობს.

მუზეუმის ისტორია დიდი ხნის წინ დაიწყო – ბრინჯაოს სამაჯურით, ქინძისთავით, რამოდენიმე მონეტით და კაჟის ისრისპირებით.

1948 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა და გადავწყვიტე, მოსწავლეებთან ერთად მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მომეწყო. ჩემმა შეთავაზებამ ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია და ისინიც ექსპონატების შეგროვებას შეუდგნენ.

თავდაპირველად მათ ოჯახებში მოიძიეს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, რომელთა რიცხვმა მალე 200-ს გადააჭარბა. მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დაამზადეს სამი მინის ყუთი თვალსაჩინოებების გამოსაფენად. ექსპონატები სათანადო წარწერებით სკოლის შემოსასვლელში მოთავსდა. ეს პატარა გამოფენა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების საფუძველი გახდა.

შემდეგ ტურისტული ინვენტარიც შევიძინეთ: კარვები, საძილე ტომრები, ზურგჩანთები, სამთო ჯოხები და მშობლიური კუთხის შესწავლის მიზნით, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა დავიწყეთ. საგამოფენო კუთხე დღითიდღე ახალი ექსპონატებით მდიდრდებოდა. მალე მას ერთი საკლასო ოთახიც დავუთმეთ და მუზეუმად ვაქციეთ. ექსპონატებს გაკვეთილებზე თვალსაჩინოებად ვიყენებდით.

დღეს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი მუზეუმი ერთ დიდ დარბაზსა და ორ სასკოლო ოთახშია განთავსებული. მის მასშტაბებსა და შინაარსზე მისივე სექციები შეგიქმნით წარმოდგენას. 8 სექციაში (გეოლოგიის, პალეონტოლოგიის, ქვის ხანის, რკინის ხანის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, ხელნაწერების და ძველი ნაბეჭდი წიგნების) 10 ათასი ექსპონატია თავმოყრილი. ცნობილი არქეოლოგი, ამავე სკოლის აღზრდილი და ანტიკური ქალაქის, საირიხის აღმომჩენი, პროფესორი ჯურხა ნადირაძე ასე წერდა ამ მუზეუმის შესახებ: „ქორეთელი ბავშვების და მასწავლებლების ნაღვაწმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მკვლევარებმა მათ შეგროვებულ მასალებზე წიგნები გამოაქვეყნეს და სამეცნიერო ნაშრომები შექმნეს. ქორეთის სკოლაში დაცულმა არაერთმა ნივთმა, მკვლევარებს ხელი შეუწყო ახალი არქეოლოგიური ძეგლების მოკვლევასა და შესწავლაში. მის ფონდებში დაცული ზოგიერთი წიგნი ნებისმიერ მუზეუმს დაამშვენებდა“.

სკოლის მოსწავლეები მხოლოდ ექსპონატების შემგროვებლები არ არიან. მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ისინი სწავლობენ და ამუშავებენ მუზეუმის ექსპონატებს, აკეთებენ ჩანახატებს, ფოტოპირებს, აწყობენ და აფორმებენ სტენდებს, უგზავნიან ცნობებს სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებს, წერენ რეფერატებს და მონაწილეობენ რესპუბლიკურ კონფერენციებში, შეკრებებში, გამოფენებსა და კონკურსებში. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა მსოფლიო კონგრესში ორჯერ მიიღეს მონაწილეობა – მოსკოვსა და ტოკიოში.

ქართული მეცნიერება მათ აღმოჩენებით გაამდიდრეს. უკვე აღრიცხულია მოსწავლეების ნაპოვნი 20-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლი, ქვის ხანის ადამიანთა სადგომ-სახელოსნო, ნასადგომარი მღვიმე და სხვადასხვა ტიპის სამაროვნები. მეცნიერებმა ბევრი მათგანი უკვე გათხარეს და შეისწავლეს. ამ პროცესში მოზარდებიც მონაწილეობდნენ.

როცა მოსწავლეს მასწავლებელი თავიდანვე აღუძრავს ინტერესს, გამოუმუშავებს დაკვირვების, კვლევა-ძიების უნარებს, ისინი ცხრა მთას იქით კი აღარ ეძებენ სასწაულებს, არამედ მშობლიურ სანახებში პოულობენ და სიხარულს სხვებსაც უზიარებენ.

ნინო ბესელია

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს განათლების პროგრამების ოფიცერი

მე ვსწავლობ კითხვას

ნინო ბესელია დამწყები მკითხველისთვის განკუთვნილ ახალ გამოცემებს მიმოიხილავს

ცივილიზაციის ისტორიის ყველა ეტაპზე და განსაკუთრებით, დღეს – ინფორმაციულად სწრაფად ცვალებად გარემოში – წიგნიერების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, კითხვის უნარის განვითარება განათლების რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება.

კარგი მკითხველის აღსაზრდელად და კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად სასურველია მოზარდისთვის ლიტერატურის ფართო არჩევანის შეთავაზება. გემოვნებიანი მკითხველი ერთ-ორ წელიწადში ვერ ჩამოყალიბდება, მით უფრო მწირი საბავშვო ლიტერატურის ფონზე. კითხვის უნარის გასავითარებლად მოსწავლემ მრავალი სხვადასხვა ტიპის და ჟანრის წიგნი უნდა იკითხოს და არა დიდ კრებულში თავმოყრილი ნაწარმოებები.

დამწყებ მკითხველს პატარა, ლამაზად ილუსტრირებული წიგნი უფრო იზიდავს, რომლის წაკითხვასაც ნახევარ საათზე მეტი არ სჭირდება. ამგვარი წიგნები კითხვის მოტივაციას ზრდის და ხელს უწყობს მოზარდის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას.

ბოლო წლებში უამრავი საბავშვო წიგნი გამოიცა საქართველოში, მაგრამ მათი უმრავლესობა კითხვის საკმაოდ განვითარებულ უნარს მოითხოვს. სამწუხაროდ, აქამდე დამწყებ მკითხველებზე თითქმის არავინ ზრუნავდა.

ახლახან ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ წიგნების სერია მოამზადა დამწყები მკითხველისთვის – „მე ვსწავლობ კითხვას“, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მოთხოვნა და წერა-კითხვის სწავლების უახლესი მეცნიერული გამოკვლევებია გათვალისწინებული. სერია 4 საფეხურისაგან შედგება. I და II საფეხური პირველი კლასის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი, III და IV კი – მეორეკლასელთათვის. მასში შესულია როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური ნაწარმოებები. პატარა მკითხველი ანბანის შესწავლისთანავე შეძლებს არა მხოლოდ მომცრო ტექსტების გაცნობას, არამედ „მთელი წიგნის“ წაკითხვას, რომელშიც საინტერესო ამბავი მარტივი, სადა ენით არის გადმოცემული და ლამაზად დასურათებული.

ეს ოთხსაფეხურიანი პროგრამა ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე თანდათანობით გადადის მარტივი ტექსტიდან რთულზე. ყველა მათგანს განსაზღვრული მოცულობა აქვს. თანდათან რთულდება ლექსიკა და სინტაქსიც. საკითხავი მასალის გართულებასთან ერთად ბავშვი ნელ-ნელა ეუფლება კითხვის ტექნიკას. ოთხივე საფეხურის წიგნებში თემებისა და ჟანრების მრავალფეროვნებაა, რაც საშუალებას აძლევს ბავშვს, მისთვის საინტერესო ნაწარმოები წაიკითხოს.

ყოველ საფეხურზე წიგნებს ერთი ფერის ყუა აქვთ, რაც ბევრად გაუადვილებს მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარებსა და მშობლებს მათ დაჯგუფებას, ბიბლიოთეკაში ორგანიზებულად მოთავსებას და ბავშვისთვის შესაბამისი საკითხავის შერჩევას.

სავარჯიშოები კი დაეხმარება მოზარდებს კითხვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ყურადღების კონცენტრაციის, მოთხრობილი ამბის გააზრების, ანალიზის და სხვა უნარების განვითარებაში.

დემოკრატიის გაკვეთილი

როგორ ფუნქციონირებს სახლმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები საქართველოში – საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, მედიის ყოველდღიურ საქმიანობას მოსწავლეები ადგილზე გაეცნობიან და საკუთარ კითხვებზე პასუხებს პირველი პირებისაგან მოისმენენ. იმ შემთხვევაში, თუ კლასთან ერთად... წახვალთ ექსკურსიაზე.

საქართველოს პარლამენტი

პარლამენტის შენობის დათვალიერება, საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე დასწრება და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ძირითადი საქმიანობისა და სტრუქტურის გაცნობა სკოლის მოსწავლეებს პარლამენტში საინფორმაციო ტურის ფარგლებში შუძლიათ. სკოლის მოსწავლეების ჯგუფს პარლამენტში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები გაუძღვებიან. ექსკურსიის ფარგლებში მოზარდები საკომიტეტო მოსმენის, პლენარულ სხდომათა, კონსტიტუციის და შოთა რუსთასთავის დარბაზებს, ასევე დღემდე შემორჩენილ, ძველ სენაკებში გახსნილ ხარების სახელობის სამლოცველოს მოინახულებენ. „ვიზიტორთა პროგრამას“ საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ახორციელებს და მასში მონაწილეობა, ასაკის მიუხედავად, ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თუ პარლამენტში სტუმრობას გადაწყვეტთ, დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით პარლამენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას მისამართზე: საქართველოს პარლამენტი, რუსთაველის N8 ტელ: 28 17 30; ელ.ფოსტა: pr@parliament.ge; საკონტაქტო პირები: ლელა პატარავა 877 51 77 88 ან ლელა პაპუაშვილი 893 64 14 64. www.parliament.ge; www.teens.parliament.ge

საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის ისტორიის გაცნობა მოსწავლეებს სასამართლოში ექსკურსიის ფარგლებში შეუძლიათ. უზენაესი სასამართლოს როლსა და ფუნქციებს მათ სასამართლოს თანამშრომელი გააცნობს და გასაგებ ენაზე მიაწვდის იმ ელემენტარულ სამართლებრივ ცოდნას, რაც მოსწავლეებს ქვეყნის სამართლებრივი მოწყობისა და სასამართლო სისტემის მუშაობის შესახებ უნდა ჰქონდეთ. 45 წუთიანი ექსკურსიის შემდეგ მოსწავლეებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი ერთ-ერთი მოადგილე შეხვდება და პირდაპირი დიალოგის რეჟიმში მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხებს.

საკონტაქტო ტელეფონები: 99 70 01, ნანა ვასაძე ან ქეთევან ტყეშელაშვილი; 877 14 99 32 გულიკო ორთოიძე.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“

სკოლის მოსწავლეებს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ ცენტრალურ ოფისში ტურს სთავაზობს, რომლის ფარგლებშიც მათ ტელევიზიის განყოფილებების, საეთეროების, სტუდიების დათვალიერება შეუძლიათ; ბავშვები იმ ადგილებსაც მოინახულებენ, სადაც ყველასათვის კარგად ნაცნობი სატელევიზიო პროგრამები იქმნება, შეხვდებიან კომპანიის მენეჯერებსა და სატელევიზიო გადაცემების წამყვანებს. მოზარდები დაათვალიერებენ საინფორმაციო სამსახურის სამონტაჟოებს და დაესწრებიან „კურიერის“ მუშაობას პირდაპირი ეთერში. პროგრამის ხანგრძლივობა 1 საათია და მას „რუსთავი 2“-ის ტურმენეჯერი უძღვება.

ტურები შაბათობით ეწყობა და აუცილებელია რეგისტრაციის გავლა „რუსთავი 2“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე http://tour.rustavi2.com. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 20 11 11. „რუსთავი 2“-ის ტური უფასოა და მასში მონაწილეობა დაინტერესებულ მოსწავლეთა თუ სტუდენტთა ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია.

ლელა სამნიაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თუ დროის მანქანის მართვა გვსურს

სიტყვებს საუკუნეების მანძილზე ერთგვარი „დროის მანქანის“ ფუნქცია ჰქონდა. წერა-კითხვის ცოდნა სწორედ ამ მანქანის მართვის შესაძლებლობას იძლეოდა – ინფორმაციის გაგზავნის და მიღებისა საუკუნიდან საუკუნეში და ერთი გეოგრაფიული წერტილიდან მეორეში. წიგნიერი ადამიანი იოლად ახერხებდა „მოგზაურობას“ საკუთარ დროსა და წარსულში, საკუთარ ქვეყანაში, და მსოფლიოში. ენების განსხვავებულობისა და თარგმანის სირთულეების მიუხედავად, ამ წიგნიერი ადამიანების მოგზაურობის შედეგია, რომ დღეს ინფორმაციულ საუკუნეში ვცხოვრობთ. თანამედროვეობა ინფორმაციის უთვალავ წყაროსა და უწყვეტ ნაკადს მოიცავს. ამ ნაკადში საჭირო ინფორმაციის მოძებნა და გადამუშავება წიგნიერი ადამიანისათვისაც კი რთულია და განსაკუთრებულ უნარებს ითხოვს. როგორ უნდა ვასწავლოთ ახალ თაობებს ამ ურთულესი კონსტრუქციის „მანქანის“ მართვა? როგორი ფართოც არ უნდა იყოს წიგნიერების თანამედროვე ცნება, მართვის პრინციპი ერთია – ბავშვებს პირველ რიგში წერა და რაც მთავარია, კითხვა უნდა ვასწავლოთ.

მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოში ნებისმიერი, ვისაც წერა-კითხვა შეეძლო, წიგნიერად ჩაითვლებოდა. ალბათ იაკობ გოგებაშვილს წერა-კითხვის მცოდნე ქართველთა შესახებ დღევანდელი სტატისტიკა ძალიან გაახარებდა. თუმცა წიგნიერება დღეს ცოდნის დინამიურად დაგროვებასა და გამოყენებას გულისხმობს.

საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს სკოლებში, წიგნიერების კუთხით, არცთუ სახარბიელო შედეგებია. 9-10 წლის მოზარდების წიგნიერების დონის შესწავლამ (PIRLS) აჩვენა, რომ ქართველ მოსწავლეთა მხოლოდ 1% აღწევს თანატოლთა შორის წიგნიერებაში საერთაშორისოდ დადგენილ უმაღლეს საფეხურს.

ანდერს ჩიდენიუსს, მე-18 საუკუნის ფინელ განმანათლებელს, ჩვენს დროში მოგზაურობა რომ შესძლებოდა, მისი იმედები მეტად გამართლდებოდა, ვიდრე იაკობ გოგებაშვილისა. კვლევის შედეგებით, ფინელი ბავშვები მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან წიგნიერების თვალსაზრისით. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განათლების რეფორმა ფინეთში, სხვა ასპექტებთან ერთად, მოზარდებში კითხვის უნარის განვითარებაზე იყო ორიენტირებული, რის შედეგადაც მოზარდების ზოგადი წიგნიერების დონე ამაღლდა. „ფინურ საოცრებას“ თვითონ ფინელები კითხვის მაღალ კულტურას უმადლიან: დიდია გამომცემლობებისა და ჟურნალ-გაზეთების როლი, არსებობს საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი (ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ სკოლებთან, მოსწავლეებს წიგნების შერჩევაში ეხმარებიან), ბავშვები სწავლობენ გამართული ტექსტური გზავნილების მიღებას, შექმნასა და გაგზავნას ინტერნეტის მეშვეობით. ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებელთა მიერ სწავლების მეთოდებისა და მასალის თავისუფალი შერჩევის პრინციპს ემყარება. მასწავლებლები კლასგარეშე კითხვის კამპანიებს ეწევიან.

წიგნიერების დაბალი დონე საქართველოში პირდაპირ კავშირშია, ერთი მხრივ, მასწავლებლების მომზადების საკითხთან და მეორე მხრივ, უფრო ფართო საზოგადოებრივ პრობლემასთან – წიგნიერების როლის არასათანადო შეფასებასთან. სასკოლო და საჯარო ბიბლიოთეკების მძიმე მდგომარეობა იმის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს უჭირთ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. არ ვგულისხმობ მათ მიერ სპეციალური ტრენინგების გავლას ან კონფერენციებში მონაწილეობას. ისინი, უბრალოდ, ნაკლებად ეცნობიან თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, როგორც ქართულს, ასევე უცხოურს. მაშინ, როდესაც საქართველოში საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმე ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება, აუცილებელია ლიტერატურის მასწავლებლებისათვის, ერთი მხრივ, შესაბამისი პირობების შექმნა (ბიბლიოთეკების ხელშეწყობა), რათა ამ პროცესებს მიჰყვნენ; მეორე მხრივ კი, მასწავლებლების მიერ საკუთარი პროფესიული ვალდებულების ბოლომდე გაცნობიერება. როგორც ჩანს, ფინელი მასწავლებლები და მშობლები ახერხებენ ბავშვების დარწმუნებას იმაში, რომ წერა-კითხვის დაუფლებით ისინი დროის მანქანის მართვასა და ცხოვრებაში წარმატებით მოგზაურობას შეძლებენ. ჩვენი ბავშვებიც რომ დავარწმუნოთ, ამის ჯერ თავად უნდა გვჯეროდეს.



მარინე უკლება, *ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (ქუთაისი)*

ელენე პატაშური, *თბილისის მე-14 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი*

„მასწავლებლის“ ფოტოკონკურსში
გამარჯვებული ფოტოები

თეა ელერდაშვილი, *სკოლა „ქორალის“ ბიოლოგიის მასწავლებელი*

მალაიზიის მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროგრამის ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

აცხადებს კონკურსს ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის

კონკურსში გამარჯვებული მასწავლებლები გაემგზავრებიან მალაიზიაში 5-30 ოქტომბერს სასწავლო კურსის გასავლელად.

დაწვრილებით ინფორმაციას გაეცნობით რესურსცენტრებში ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში: თბილისი, უზნაძის 52, ოთახი 214.
საკონტაქტო პირი
თამარ ონოფრიენკო
ტელ: 951304.
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge;

www.tpdc.ge

მზის სისტემის მთავარი
პლანეტაა ტოპი-ნანა-ბუ,
იქ ცხოვრობენ
ფაფა მინქაები.
რა ვქნა?!
„ეარსკვლავური ომების"
თამაშს ხომ არ დაეწყებ,
ამ ბავშვებს
რომ გავუგო...

www.tpdc.ge